

ქრონიკა

საქართველო
საზღაოთმშენებელი


№ 5-8

1934



შინაარსი

- დ. ხულიაშვილი—შხეთავი გაბრო (ნარკვევი).
- ლ. ქიქოძე—ორი მხატვარი.
- შ. გარიყული—ორი დღე (ნარკვევი).
- დ. გაჩეჩილაძე—სტალინს (ლექსი).
- ა. ქუთათელი—ახალი ადამიანები (ნარკვევი).
- ა. ხაჯაია—სამეფრელოში (ლექსი).
- პ. ხმალაძე—ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები.
- შ. ბუაჩიძე—წყალტუბო (ნარკვევი).
- ნ. ნეკრახოვი—რკინის გზა (ლექსი).
- ლ. ახათიანი—კოლექტივი ალაზანზე (ნარკვევი).
- ე. აბტვაცატუროვი—ნინოშვილის გურია.
- ი. ვნიკოლოზოვი—დიუბა თბილისში.



მწერლის ანდრეი ბელის ვაჩუცვალმა
 არტერიოსკლეროზით გარდაიცვალა ჩვენი საუკუნის უდიდესი მწერალი ანდრეი ბელი — ზორის ნიკოლოზის ძე ბუგაევი.

საკვლავი კოლეგია:

- მ. მაჭაშარიანი (რედაქტორი), პ. ლორთქიფანიძე, აბ. ჭყონია, ლ. ახათიანი (რედ. მდივანი)



აშხ. ტროიანოვსკის ჩასვლა ჩ. ა. შ. შატბუაში

აშხ. ტროიანოვსკი გემი „ვაშინგტონით“ ჩავიდა ნიუ-იორკში.
სურათზე: აშხ. ტროიანოვსკი გემი ვაშინგტონის“ ბაქახზე გამოდის რადიო-ვა-ლა-უმის მიკროფონის წინ მისასაღებელი სიტყვით.

ფოტო: ბუდგესის

მ შ ი თ ა ვ ი ბ ა ბ რ ე

დავით სულიაშვილის ნაკვეთი

აგერ, იმ ეს არის მშეთაფი გაბრო,—მითხრო ჩემთან წოსაუბრე რკინის გზაში მონამსაზურე ნაცნობმა—შენც, როგორი მარჯვე ხეიია!

ასფალტით მოკირწყლულ სადგურის ბაქანიდან ჩვენ თვალს ეავლებდით წყვილებით გაყოლებულ რელსებს, რომელზედაც ხმაურით და სტვენით ორთქლმავლები და სანჯაზაფრო თუ საბარგო ვაგონები მიდილობოდნენ.

რამდენი ხანია აქ მუშაობს და ერთი ბუქსიც არ დასწევია. ხომ ასეა გაბრო? — შეეკითხა ჩემი ნაცნობი, როცა გაბრო მოგვიასლოვდა და ჩვენ წინ შეჩერდა.

აბა, როგორ შეიძლება! მეტი რა გვაბარია, — უმჯასუნა მშეთაფმა.

ჩვენ წინ იდგა შავგრემანი მშეთაფი, დაბალი ტანის აყო, შესუსტებული. ზურგზე წამოკიდებული ჰქონდა შავი, ტალახიანი ყლოთი, რომელიც მუხლებთან უშნოდ ქანაობდა.

რამდენი ხანია რაც აქ მუშაობთ? შეეკითხებ მას.

— იდი ხანი არ გახლავთ, ზულ ზუთი წელია.

ისედაც შავი სახე მუშაობაში კიდევ უფრო გამბურდა. კროლა ბატარა თვალგ-

ბი სიღრმეში, თავის ცქრიალა თვალბებით მოძრაობდნენ.

კარგად ახსოვს გაბროს სოფელში ვატარებული ხანა. ეხლაც დაწვრილებით ავონდება, როცა მამა ტყეში ურმით წასვლას გადასწყვეტდა, პატარა გაბრო მაშინვე კოფოდან კოთბოს ჩამოღებდა და ურმის ღეროს კარგად გასაპნავდა ხოლმე.

— მამ, შენ ბავშვობიდანვე შესდგომიხარ ხელობას, რალა, — სიცილით ჩაუბრო ჩემმა ნაცნობმა.

ახალგაზრდა კაცის ახალი ცხოვრების მსვლელობამ ძალიან დამაინტერესა და გულმოდგინეთ ვუგდებდი ყურს მის მოკლე და შინაარსიან თაფავადსავალს.

სოფელში ყოფნის დროს გაბრო — თუმცა ჯაფაში; მაგრამ მაინც უღარდელად ატარებდა დროს. დახტოდა, ცელქობდა და პირველი იყო ტოლ-ამსანავებში, როგორც თამაშობით, ისე მუშაობით.

ჯერ კივე გათენებული არ იქნებოდა, გაბრო დეხზე იდგა. კარგად იცოდა, თუ ურმის ღერძი არ გაისაპნებოდა — ქრიალს დაიწყებდა და თვალბების ბრუნვაც გაანედლებოდა. ამის გამო ხარებსაც მეტი ჯაფა დაადგებოდა. მას კი ძალიან უყვარდა თა-

ვისი ნიშა და ნიკორო. ამიტომ მზრუნველობასაც არ აკლებდა მათ.

როცა პაიჭებიანი და დაბეულ ფაოჯიანი შამამისი ბოსლიდან ხარებს გამოიყვანდა, ნესტოებში გაჩხიროლ ბზის ღერობით, ფერდებზე მიმხმარი ნებვით და ტალახში ამოსერილი შოკლე კულებით — გაბრო უკვე გასაპნულ ურმს კონკილაზე დაყენებდა და მამას ურემში ხარების შებმუზე მოეხმარებოდა.

ურმის კოფოზე წამოსკუბული გაბრო თავს ისე გრასობდა, როგორც სარძლოს მოსაყვანად გამგზავრებული სიძე. ამასვე და მედიდურად გასკვეროდა ველ-მინდოიას გახარებული იყო რომ მამამისი ხარებისა და ურმის მართვას მას ანდოიოა.

ორბობებში გასვლის დროს გაბრო ხარებს სახრეს გადაკრავდა და ურკოფო ღობის პირად ჩამწკრივებულ ტოტებს შოედებოდა, მაგრამ შეკრული ბუ-ლულიც ფოთლიტს აშორივლებდა. მაინც გაშულს დადილინებდა.

მთაო გადმიშვი. ააომიშვი რა ნისლი მოვიტევია შთას იქით ჩემი მიჯნურა სხვას ვინმეს ჩაუტევია...

მისი ხმა მიღამოს წყაროლა ხარკით ფენებოდა.

შეიძლება ამ დროს სოფელში დერვიანზე გამოსული ახალგაზრდა გოგო ამ ხმებს გულში იკრთავდა, მაგრამ გაბროს ხეში-ადს მაინც არ უშეძლებებოდა.

სიმღერით გაერთული ვაბრო იფნის სახრეს აქეთ-იქით იხუცებდა და ხარბის ზურგს ნელა სცივებდა. კოფოზე წამოიპოოარი ჰლე-როდა ვაბრო და თან ხარობდა, რომ ძნით დატვირთული ურესი კალსი გაავსებდა.

პატარა იყო სოფელი და შორს იყო იგი ქალაქიდან. ვაბროს კი ჰალაქური ცხოვრე-ბა იზიდავდა. რადგან იქ ყველა ნასუსელი იყო და ვაბროსაც ხომ სწავლა სწყუროდა.

და ერთი დღეს მოვიდა ცნობა, რომ მის იწვევენ წითელ არმიასში.

ჯარში წასვლა სოფელელებისათვის წინად სამწუხარო ამბავი იყო. ამის თავიდან ასაცი-ლებლად მრავალნაირი ხრიკებით ცდილობ-დნენ ხოლმე და ქრთამების გავლებით, ავთი-მყოფობის მოვრებით, თითის მოჭრით და ეს უბედურება თავიდან აეცილებით.

ესლაც, ვაბროს ჯარში გაწვევის გამო მისმა დედ-მამამ ბევრი იტორა. აქა-იქ მოი-კითხეს კიდევ, თუ როგორ შეიძლება მისი განთავისუფლება, მაგრამ არაფერი სახსარი არ აღმოჩნდა და ვაბრო ჯარში წაიყვანეს.

მაგრამ რა იცოდა ვაბრომ, რა იცოდნენ მისმა მშობლებმაც, რომ ეს შემთხვევა ას ბედნიერებად გადააქცეოდა.

განცვიფრებული და აღტაცებული იყო ვაბრო, როცა მას წითელ არმიასში ამხანა-გურად მოექცნენ. როცა იქ სწავლა დააწყე-ბინეს. ანბანი შეასწავლეს, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა გაურკვევეს. როცა დაანახვეს ვინ იყო მისი ნამდვილი მტერი და მოყვარე—როცა მას ყოველივე ამანზე თვალი აუხილეს, მისი გონებაც გა-ბრწყინდა. მაგრამ ჭვეყანას სულ სხვა თვა-ლით შეხვდა.

წითელ არმიასში ყოფნის დროს ვაბრო სრულიად გარდაიქმნა. ხშირად ეკამათებო-და ამხანაგებს ამა ზუ იმ პოლიტიკურ კი-თხეებზე. ცდილობდა რაც შეიძლება შეტი შეეცნაყვლა. ესწრაფებოდა და მიიღებოდა პარტიის წევრი გამხდარიყო, აიტომ გულ-მოღვინეთ სწავლობდა პარტიის ისტორიას, ლენინიზმს და იცოდა, რომ მიზანს მიაუ-წყვდა მეტი ენერჯის და უნარის გამოჩე-ნით.

ჯარში ყოფნის ორმა წელმა სწრაფად გა-ნელო. ვაბრო დაუბრუნდა სოფელს. მალე ქალაქიდან ამოვიდა მისი მეზობელი, რომე-ლიც მილიციაში მსახურობდა. მან ვაბრო ქალაქში წამოიყვანა და მილიციაში მოაწ-ყო თანამშრომლად.

და ერთხელ ვაბროს წინადადება მისცეს აზნაეთის საყარაულო საზენდრო რაზმში წასულიყო. ესლა კი სიხარულით და აღფ-როთვანებით აიესო მისი ვული, რადგან რკინის გზას უხელოვდებოდა და უფრო თავისებურ, საკუთარ ცხოვრების მსგელე-ლობას მიყვებოდა.

ვაბრომ ვაზეთებიდან გაიგო, რომ არს-დება მშეთავების კურსები, რათა რკინის გზის მოპრობისათვის მომზადდნენ დახე-ლოვნებული და ვაზეთების მკოდნე სპეცია-ლისტი მუშები.

ვაბრო მშეთავების კურსებზე შევიდა. კურსების დათავრების შემდეგ ის ჩარი-ცხეს სადგურ ტვილისის ვაგონის დეპოს მშეთავთა შორს და ურმის მაგიერ ესლა ვაგონებს ზეთავს...

ის იყო ვაბრომ დამათავრა თავისი ამბა-ვი, რომ ხშირით და ხრიალით წინ ჩაე-ვიქროლა დიდმა ორთქლმავალმა ცისტერ-ნების გრძელი როგით. ქარი ააყენა, მიწა შეანძრია და მერე ნელნელა შეჩერდა.

— უჰ! აგე, ჩემი მატარებელიც,—წამოა-ძახა ვაბრომ.

— ესლა კი მშვიდობით, შენი ქირიმე, თორემ საუშუაოზე დამაგვიანდება. ეს სა-

პარშურტო მატარებელი რომ ჩამოვდგა, მა-ლე უხნდა ვაზეთის და მერე ისევ გზას გაუყენოთ, თორემ ტრანსპორტი შეჩერ-დება.

— მეც წამოგვეყვები, ერთი ენახავ რო-გორ უხნდა ვაზეთი ვაგონები. არ შეიძ-ლება?!

— წამობრძანდი შენი ქირიმე, რატომ არ შეიძლება!

ეს დაბალი, მოკლე ტანიანი კაცი, ზურგ-ზე ჩამოკიდებული ყუთით, ისე მიძვრებო-და ვაგონების ქვეშ, როგორც დახელოვნე-ბული მელია ორლობეში.

ჩვენ ვადავკერით რამდენიმე ლიანდაგი. მაზუთიან ტალახში რამდენჯერმე ჩავკარი ფეხი და ბუფერის თევშესაც ბევრჯერ ავარტე თავი. ვაბროს მოლუნვაც არ სჭირ-დებოდა,—გარბოდა, თანაც ტალახით და მაზუთით ვამავეებულ ყუთს რელსებზე ზრავუნით მიათრევდა.


და. საქმეს რომ შეუღდა, სახე შეეცალა.

გაერთიანებული პატარა ფეხლები. სი-ლორეში მიიმაღენ და ვაჭრმა წარბები თუმ-შით წამწამებზე მიეწიდა.

ცისტერნების გრძელი როგი ჩავიარეთ. ბოლოში რომ ვაგედით, ვაჭრის მხრის მხედ-გა, შემომხედა. — აი ეს სამარშურტო მატ-არებელი ჩქარა უხნდა ტრანსპორტს განჩერე-ბა ორდი შეიძლება.

მერე შენც თან უხნდა ვაჭვე?

— მაშა! გზაში განა არ შეიძლება გაუ-ფუტდეს რაზე? უხნდა წავეყე, მაშა!.. დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზეთვასა,—დასძინა მან,—ვაზეთთავი დეურის ხახუნით მთელ ვა-გონს წახხდნეს და ორთქლმავალსაც შეტი ჯავა დაადება. ზეთი ხახუნს ანელებს. იცი რატომ? იმიტომ, რომა ზეთი ეგლი-სება რკინის შედაპირსა და მქისე ადგი-ლებს ათანასწორებს, პო და როგო გითხრა.. აი, საკისურსა დიდ ერძის შუა ზეთი ზეთს ეგლისება... თერთლითი კიდე, აი ლეჩხე-რომ ხახუნებს,—ბიბლი ლითონია. ვაზეთ-



ნახატი გ. ნიჟარაძის.

მერე უეცრად შეჩერდა. მის წინ მჭკრი-ველ ჩარბებულ სპილოების მსგავსს ცის-ტერნებს გააყოლა თვალი. ზურგიდან ყუ-თი მოიხსნა. ძვლები დაიკარწახა. ყუთი-დან ზელსაწყო ამოიღო და ვაგონებისაკენ გასწია.

მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით. მიყვებოდა გრძელ მთებსავით აყულებულ ცისტერნე-ბის როგს, ოგორაც ბედურა ლობის ძირში, ისე მიხტოდა ვაგონების ჩრდილში და ბორ-ბლებთან ჩერდებოდა. ბორბალზე მიჭვიდილ რკინის ყუთის თავს მოკაუჭებულ მსხვილი მავთულით მაღლა ასწევდა. შიგ ჩახივდა ვდა, მერე ზეთიან პაკლს ჩასტენიდა და კვლავ წინ მიხტოდა.

ზეთის შავი წვეთები ზოლხნით მიცოცა-ვდა რკინაზე. მერე ძირს ეცემოდა და შავ მიწაში იგლისებოდა.

მეც უკან მივეყვებოდი. მუშობაში გარ-თულს, ალაო ვახსოვდი. მეც არაფერს იე-კითხებოდი. თითქო შეიცვალა ეს კაცი ყუ-თი რომ მოიხსნა, თითქო მაღალი გამოჩნ-

ვას ლითონის ხახუნი, ზეთის ხახუნში ვა-დააქვს... გაიგე პო და რაც უფრო სქელია ზეთი, იმდენათ ნაკლებია ხახუნია...

გაევიგ და მივეხტო, რომ ეს პატარა კაცი, ამ უზარმაზარ ვაგონების მოძრაობისათვის და საერთოდ „ტრანსპორტისათვის“ უჩინა-რი, შეუმჩნეველი მოკრძალებული, მაგრამ ფრიალ საქმობა, დიდი მოამბე და აუცი-ლებელი მომუშავე ყოვილა. რომ ეს ქარ-თღვლი გლეხი—შეგნებული, სინდისიერი და ნაყოფიერი მუშა გამხდარა საბჭოთა მშენებლისათვის.

ჩვენ თვალწინ ვაგონები მიდი-მოდიოდნენ. ორთქლმავლები ტყიდან მოვარდნილი ქა-რევით გაიქროლებდნენ, ლეჩაქს ააფრიალე-ბდენ და დაჭრილი ნადირის ხმით გაჰკით-დნენ.

იმ მატარებლისათვის, რომელსაც მშეთავი ვაბრო უხედა, ორთქლმავლები უკვე გა-მოეცვალა, ორი გრძელი ორთქლმავალი მოძება და ესლა მებანქანები მის დაურ-ევას შესდგომოდნენ.

— პატარა ხანს კიდევ დამეცადე შენი ქარიშხი. ერთი კიდევ უნდა ჩამოუარო ამ ვაგონებსა და მერე თავისუფალი ვიქნები, მომზარუნდა გაბრო. მერე მომივალ ობერ-კონდუქტორს რაღაც ქაღალდი გამოართვა და ისევ ვაგონებს ჩამოუარა.

და მე ვხედავდი როგორი სიმარდიტ, სწრაფად და ხალისით შეძვრებოდა ხოლმე ვაგონს ქვეშ და რაღაცას აჩხარუნებდა. გულწოდგინით ათვალეირებდა ავტო-მუხრუჭებს, ონკანებს, სახელურებს.

პატარებელზე ორთქლმავლის მობმისა და რეზინის სახელოების შეერთების შემდეგ, როცა სამუხრუჭო ქსელში აღდგენილია ნორმალური წნევა—მზეთავი გაბრო ვაგონებდან გამოძვრება, პირს მემანქანისაკენ მიიპოუნებს, წულში გადაიხრება და ორივე ხელით სივრცეში რაღაც ნიშანს მისცემს. მაშინ მისი გამომეტყველება მბრძანებელი იტყვის სიიღებს. იცის, რომ მის მოთხოვნას ძალა აქვს, იცის, რომ ეხლა ის არის მატარებლის უფროსი და მისი განკარგულებაც უნდა ოქსერულდეს. მისი ნიშანი კი მემანქანეს ამცნობს:

„დაამუხრუჭე მატარებელი“.. შემანქანვე მოკლე დასტევებით ატყობინებს, რომ ვაგონები დამუხრუჭებულია.

ამის შემდეგ, მტკიცე ნაბიჯით კვლავ ჩაწოვილის ვაგონებს, რათა დაოწმუნდეს, რომ ყველა სამუხრუჭე ჩარჩო მაგრად არის მოჭკრილი არტახებზე. ზოგან გამოსწევს, ზოგან რაღაცას მისწევს, რაღაცას აამუხრუჭებს, აახმალურებს და როცა ამასაც მორჩება, კვლავ მემანქანისაკენ პირ მიბრუნებული ხელებით სივრცეში აშვერიო. ნიშანს მისცემს: „განამუხრუჭე მატარებელი“.. მემანქანე ამ მოთხოვნასაც ასრულებს და მისცემს ორ მოკლე დასტვენას. მერე, როცა დარწმუნდება, რომ ყველა მუხრუჭები მოწყვეტილია — ობერ-კონდუქტორს განუცხადებს—მატარებელი მზათაა წასასვლელათო...

დაკმაყოფილებული, დამშვიდებული, თავის მოვალეობის შესრულების შემდეგ — დაამებული გაბრო, ნელი ნაბიჯით მომიახლოვდება. ქუჩყისაგან გაშავებულ ყუთში ხელსაწყოს ჩაეწყობს ზურგზე მოიკიდებს და მიტყვის:

ეხლა შეიფოთით ბრძანდებოდით! ავე სამდე რკინის კოფო უნდა მოვქებო, აირკინის ხარებსა, სახრე როდიოა სკოლიბო, მავ დალოცვილებსა, აღარც ჩემი გაჯერება უნდათ. ამხელა ვაგონებს სულ ბნე წაიყვანს რო სულ რიხინ-რიხინს დასაქვინდა ჩვენი ურმების ტრანსპორტს გასაბა.. კიდევ ჩაიცინა უღვამებში—ნახვადის შენი ქირიმე! ხელი ჩამომართვა და ყუთის ქნევით წავიდა.

წინა ვაგონის მაღალ კოფოზე ჩამოჯდა. მალე მატარებელიც დაიძრა. ორთქლმავალმა გაწიწხატებული დედნაკაცივით დაიკვილა, მერე თმა გაიშალა და გასწია. დიდი ცისტერნის ვაგონები ახრიალდნ და რელსებმაც ლაწა-ლუწი იწყეს...

მატარებელი მალე ერთი ხაზით შეიკრა და თითქო მსვლელობაც შენელდაო... წინ მიმავალი ორთქლმავალი კი თეთრი ენაქის ნაფლეთებს ჰაერში გამალბებით ფანტავდა...

მ რ ი მ ხ ა ტ ვ ა რ ი

ლ. ჰიქოძის წიკილი

საქ. საბჭოთა მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში კარგა ხანია, რაც გაიხსნა დამსახურებულ სახალხო მხატვრის ალ. მრეველიშვილის და მხატვარ ორაკლი ტოფაძის სურათების გამოფენა.

ეს ორი მხატვარი არ ეკუთვნოდნ ერთ თაობასა და ერთ ეპოქას. სულ სხვა პირობებში იშლებოდა ალ. მრეველიშვილის შემოქმედება და სულ სხვა იყო ის სოცია-

ლური არე, რომელშიაც მოუხდა მუშაობა ირაკლი ტოფაძეს.

ალ. მრეველიშვილის შემოქმედება საესეებით განსხვავდება მისი დროის სხვა მხატვრების შემოქმედებისაგან. მას მოუხდა მოღვაწეობა იმ პერიოდში, როდესაც რუსეთსა და საქართველოშიც ჰქროდა ხალხოსნური მოძრაობის სიო. ხალხურმა იდეებმა თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს ალ. მრეველი

შვილის შემოქმედებაში. მან პირველმა მოგვცა სოციალური შინაარსის ამსახველი ტილოები.

სურათში „დაბალი ლობე“ მხატვარმა გვიჩვენა დაბეჩავებული გლეხობის სურათი და სოფლად გამეფებული უსამართლობა წარსულში.

„ქვეყნის სამართალში“ მრეველიშვილმა აღიმაღლა მეფის დროინდელი წოდებრივი



„დაბალი ლობე“

ალ. მრეველიშვილის.

კანონმდებლობის წინააღმდეგ და გამოაშკარავა ამ „სამართლის“ უსამართლობა. ამ ოსტატის სხვა სურათებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „დაბალი ღობე“; „ღალა“; „მისი უდიდებულესობის მხოლოდინში“; „საფლავის კურთხევა“; მრევლიშვილის ამ პერიოდის შემოქმედებას უსათუოდ დააჩნია თავისი დალი მანინდელ ქართულ ლიტერატურაში გამეფებულმა განწყობილებებმა.

იოველიშვილს, როგორც მხატვარს ახალითებს მაღალი ხაზობრავი კულტურა,

ტერის სახელწოდებით. მრევლიშვილი გარდაიცვალა გასული წლის მიწურულში.

მრევლიშვილისაგან სავსებით განსხვავდება უდროოდ გარდაცვალებულ ახალგაზრდა მხატარ ი. ტოფაძის შემოქმედება.

სიმბოლიზისა და მისტიციზმის ხანმოკლე გავლენიდან (გ. ტაბიძის და ვარდოშვილის პორტრეტები, ბარათაშვილის „მერანი“) განთავისუფლებს შემდეგ ირ. ტოფაძემ შესძლო თავისი მხატვრული ხედვის არეში მდიდარი რევოლუციონური და ინდუსტრიალურ - ყოფითი თემატიკის შე-



„სოფლის კანცელარია“

ალ. მრევლიშვილის.

სირბილე ხაზისა, ფორმის კონკრეტობა, სივრცის შიზნობრივი განსაზღვრა, სინამდვილის არა პასიური ათვისება, ძველმა მეფის მთარობამ მოინდომა მიეჩქმალა მხატვარ მრევლიშვილის შემოქმედება, ჩაეხშო მასში ინტერესი მუშაობისადმი. ყოველგვარ დახმარებასა და თანაგრძობას მოკლებული მხატვარი მაინც ენერგიულად განაგრძობდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას. ეს მუშაობა მას არ შეუწყვეტია სულ უკანასკნელ ხანებამდე.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა მოხუცი ოსტატის ხანგრძლივი შრომა და დააჯილდოვა იგი სახალხო მხა-

თავსება (რევოლუციონური მოძრაობა, გლეხური აჯანყება, პიონერთა დღესასწაული, ძაფსახვევი ქარხანა და სხვ.), როგორც მხატვარი ირ. ტოფაძე ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მეთოდოლოგიის მქონე, იგი შემოქმედებით ძიებს პროცესში იმყოფებოდა.

ი. ტოფაძის ხანმოკლე შემოქმედება გემტიცივებს, რომ მისი სახით ჩვენს საზოგადოებრივობას ყავდა ენერგიული და ნიჭიერი მხატვარი, რომელსაც სამწუხაროდ არ დასცალდა თავისი ნიჭი და ენერგია მოემარებინა თანამედროვე სოციალისტური მშენებლობისათვის.



„რ ა ლ ა“

ალ. მრევლიშვილის.

ავტომანქანამ გაიქმნა... მრევლიშვილის თაღის ქვეშ, რომელზედაც შემდეგი წავიკითხე: „ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის სახელობის პოლიტსამმართველოს საბჭოთა პირველი მეურნეობა. ორჯელ კიდევ მოიქნია ბოლო მანქანამ და შეიჭრა დიდ ეზოში.“

ჩემმა გამყოლმა შეალო საძროხეს კარები, დიდი ნათელი გრძელი დაბაზი, ოთხ პირად ჩამწყვრივებული გაკრიალებული ფიცრის ბაგები, მუღმივ დვას აქ მომვლელი და ასუფთავებს იქაურობას. ასსამოცი ძროხა დავთვალე სხვადასხვა ჯიშის, სხვადასხვა აღნაგობის, სხვადასხვა მხრიდან არიან მოყვანილი, ყველა ძროხის საპირეს აწერია რა ჯიშს ეკუთვნის და საიდან მოსულა.

თორმეტი საათია, სპეცხალათებში გამოწყობილი ქალები პატარა სკამებზე უსხედან ძროხებს სავსე ჯიქნებთან და თეთრ ალუმინის საწველებში ჩხრიალით ჩადის ქაფქაფა რძე. შენობის შუა ადგილას მაგიდა დვას და აქ ივსება ბარათები, რომელშია ძროხამ რამდენი მოიწველა, იწონება მთლიანად, დგება ჯამი და დახუფული კასრები იგზავნება სარძევე განყოფილებაში.

შვეალეთ მეორე კარი, აქ უფრო ფერდებ სავსე ძროხები დაგვხვდა: „ესენი ყველა მოსაგებია“—მიპასუხებს ზოოტექნიკი. აქაც ასსამოცი. დგანან, წვანან, იცხანებინან.

გავიდეთ მესამე განყოფილებაში და ვეწვიეთ ქოჩინებს. ცხელ ლუმეთან სპეციალურ ვალიაში სუფთა ტილოზე შრება ახლათ შობილი ხბო, თბილი ბინა, ტერმომეტრით გავზომილი ჰაერი, წესიერად დაცული პივიენა... გამოვედით და გავსწიეთ სახარე ბინისკენ. ქარი უსისინებს და ახდენს მზიან დღეს. მოზრდილი მუბლები გამოუშვიათ, შეკავებულ ადგილში, შენობის გვერდით კედელთან მიმდგარან მზის ყურზე და იცხანებინან. ერთი მეორეს ენით სლექენ, ეალერსებინან, ზოგი თამაშობის ხასიათზე შევარდნილა, დახტის, დაკუნტრუშებს, გალაღებულა.

— მირზავ! ნელა, დინჯათ იყავ. ეუბნება მომკლეელი ერთ ხარს. შემობარუნა ბაგაზე, გამოიყვანა და სასეირნით მიყაჟს.

— როგორ მირზავ? გავიკვირვე.
— დაახ, ამათ ყველას ჰქვიათ სახელები; ეს გახლავთ გერმანელი ფრანკი, ესეც იქაური მიშა... ეს გახლავთ პრინცი. ესეც დურუჯი, ესეც მეორე ბოროტია და ავ გული... ეს

გახლავთ შოთა, წითელი ხარია მაღალი მოხდენილი.

მეჩეთივით აღმართულა მაღალი ცისფერი რგვალი კოშკი, არც კარი უჩანს და არც ფანჯარა, სამოც მეტრის სიმაღლეზე აზიდულა, ეს სასილოსეა. აქ ინახება საქონლის საკვებები, განსაკუთრებით ძროხებს აკმევენ ნოყიერი რძის მისაცემად. გადავედით ეზოს მეორე მხარეზე, იქაც ასეთივე ამბავი დაგვხვდა, მათ მიემატათ საჯინიბო, 20 ცხენი აბია აქ, აქვეა სანალბანდო, მცირე სამკედლო, ისევ საძროხე და სახბოე. სადგომები, აქაც დიდი ქართაა, საცესე წითელი საქონლით, მთელი ჯოგია, თვალი არ ძოება მათი ყურებით.

მეორე დღე მოვანდომე მინდვრების დათვალიერებას, შორს მოსჩანს ერევნისკენ მიმავალ რკინის გზაზე გადაგდებული ხიდი. ლიანდაგს შემდეგ მონასტერია იქ ერთ დროს წმინდა მამები ცხოვრობდენ დღეს-კი მეურნეობას საკურდლდე აქვს განართული.

კოტა შრომა არ დასჭირდა მეურნეობის გამგეს და მის თანამშრომლებს რომ, ეს ურწყული უდაბნო თანხისად გადაიჭრიათ. მტკვარზე წყალსაქაჩავია მოწყობილი და მსხვილტანიან თუჯის მიღებით ეგზავნებათ სარწყავი 445 გა. სხვადასხვა კულტურების ნათესებს.

ოთახს კარიან სათბურებიდან გამოდის ბოსტნეულის; პამიდორი და ქართული ბადრიჯნის სარგავი (ჩითილი) რომელიც რგავს 45 ჰექტარ მიწას. ამ მინდორზედვე არის გამართული დიდი მიწის სახლი, სათბური ორთქლობობით. დღე ადგას მზე ყოველ მხრიდან, ღრუბელი ქარი და ყინვა ვერას დააკლებს, ორთქლის მიღები აგზაფხულებს იქაურობას. ეხლა უკვე საკმაო ასაკშია მწვანეთ დაკინწლული პამიდორი, სულ ჩქარა დაწითლდება, დამწიფდება, მას გვერდს დაუმშვენებს შუაში მოქცეულ კვლებიდან ქორთვა კიტრი. სათბურის ირგვლივ ღაღანებს ბაღბის წითელი ყვავილი, ეშმაკურად იცქირება ფანჯრიდან და აბრაზებს ჯერ კიდევ საფარში მყოფ ენძელას. აქვე დგას ტახტი სახელდახელო ლოგინი მიკველია ზედ, აგროტექნიკი დღე და დღე აქ არის და ტემპერატურას ადვენებს თვალს.

— „ამიერ-კავკასიაში პირველ საცდელ-საჩვენებელ სათბურათ ითვლება ეს ჩვენი სათბური.— შეუბნება ახალგაზრდა აგრონომი შარუდია.

გადავდივართ სათესლე ლაბორატორიაში. ყოველ მარცვლეულს

აქვს თავის განსაზღვრული დრო, აღმოსაცენებლათ და ეს არის მის სქელან თხელ კანიანობაზე დამოკიდებული. ამ გზით ლაბორატორია უწყევს თესლის ვარგისიანობას კონტროლს და შემდეგ ეს შემოწმებულ და მიღებული თესლი ურიგდება მეურნეობებს, რის შედეგადაც მეურნეობები აღარ ზარალობენ თესლის უვარგისობის მიზეზით.

კვერცხს, ჰერავს თავს და კენების პატარა კარში, „კა-ვა-კა-ვა“ განთავისუფლდა მაგრამ აქეთ კი ველარ გამოვა ის, ავტომატიურად, ჩაქცეტა, სანამ არ მოვა წიწილელი ქელი... ქათამს ფეხზე წაიწიდა, მომვლელმა გაიგო რომელმა დასდო კვერცხი, ეს ცნობა იწერება ქათმის პირად ბარათში და ჩვენ ვლებულობთ სტატისტიკურ ცნობას,



აშხ. მიხა კახიანის სახელობის საგარეუბნო კოლმეურნეობა

აშხ. მიხა კახიანის სახელობის საგარეუბნო კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია დაშმარე მეურნეობანი: პატარა ფერმა 17 ძროხისათვის, საღორე 55 ღორისათვის, საკურდლდე 60 ბაჭისათვის, ფრინველთა ეზო, სადაც ამჟამად არის 250 „ლეგონის“ ქათამი. 1933 წ. ფრინველთა ეზომ კოლმეურნეობას მისცა 6.000 კვერცხი, კოლმეურნეობამ შეიძინა 2 ინკუბატორი 300 კვერცხის ჩასაწყობად.

სურათზე: აშხ. ანდლულაძე დაჯილდოებული დამკერელი ქალი. სინჯავს კვერცხს ინკუბატორში ჩაწყობის წინ. ფოტო: სტოლიაროვის.

მამულის მეორე მხარეზე მთელი ქალაქია გაშენებული, მაღალ რკინის ბაღე შემოვლებული ეზო თეთრად გადაპენტილა, იქნებ ბაბბის პლანტაციას, ან იქნებ თოვლი მოვიდა იმ მხარეზე? არა, არა ჰგავს; იძვრის, მიმოდის, აჰა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაფრინდა გულით მოასკდა მავთულის ბადეს და ძირს ჩამოვარდა ქათმები, რამდენი ათასი ქათამია ამ ეზოში.

საქათმე აერთიანებს ცხრა ათასს კვერცხისმდებელ დედალს, და ორი ამდენ ახალ ქათამს, ამათაც ჰყავთ თავის სპეცაგრონომი და ტექნიკები. შევედით დარბაზში, იატაკზე მშრალი სილა ჰყარა სისუფთავისთვის, ჩამწყვრივებულათ დგას საკვები ყუთები საცა სპეციალურად დამზადებულ საჭმელს უყრიან ქათმებს, ფქვილი, კირი, კვერცხის ნაჭუჭი და დაფქული ძვალი. ამით ასაზრდოებენ, ქანდარები დახლართულია, დარბაზში დგას მაღალი ყუთები პატარა კარებით. ქათამი კვერცხისაგან უნდა განთავისუფლდეს, ის არ კითხულობს თუ ვის ბუდეში დასდებს

რომ კარგი ჯიშის ქათამი საშუალოდ იძლევა ას სამოც კვერცხს წელიწადში. მივდივართ ინკუბატორში:

ვნახე მანქანა რომლის საშუალებით ორმოცდა ათი ათისი წიწილი ეჩეკება ერთად, ამას უკრაინელ გიგანტს ეძახიან.

უკრაინულმა გიგანტმა დღეს გამოუშო ხუთასი წიწილი, მეტს ვერ ვერ გამოსჩეკს საშრობი საცრები აღარ ყოფნის. ცარიელ ადგილზე ეწყობა ახალი კვერცი, ხვალაც ხუთასს გამოიყვანს და ასე დაუსრულებლივ ყოველ ხუთი დღის შემდეგ ვლებულობთ ახალ თაობებს.

დაბალკელიანი, ელექტროდენით გამთბარ ოთახში, ათასი ყვითელ ქინქლიანი წიწილა წიწინებს, მირბიმორბის, უნდა საღმე ვაძვრეს და ისევ აფარებს თავს მაღლიდან წამომხობილ მოტორით გამთბარ თუნუქის ხუფს. ეს კრუხის ფრთების მაგიერობას უწყევს ახლად გაჩენილს. აქედან მიდის მეორე განყოფილებაში უფრო მოზრდილი, შემდეგ და შემდეგ მიდის თანდათან ზრდაში, დასრულდება და გადაიჩრევა.

ს ტ ა ლ ი ნ ს

ღამით გაჩეჩილაძე



ეროვნული
საბჭოთაო
დემოკრატიული

აი დავფიქრდი, და წარსულის შავი აჩრდილი ჩემს წინ წამოადგა. ციხეების მესმის ხველბა. აი, სივრცეში აიღრუბლა ჯორჯიაშვილი თავდასრილივით გადმომდგარი სახრჩობელადან.

აი, მე ვხედავ: აყოლილნი ბედის ძიებას, ხელში ბოხჩებით, პატიმართა მკრთალი ჩრდილები, უკრაინიდან, რუსეთიდან, კავკასიიდან კატორღებისკენ დაბორკილნი მირიჩხინებენ.

ო, ის ქვეყანა, ყველა ბელტი სისხლით გაშვადარი, შორი ციხიბირი, გაყინული ვარსკვლავთ კრებულის, და ციხეები, ციხეები რკინის ფანჯრებით ბრძოლათა გზებზე ჩაღამებულ სადგურებივით.

მაგრამ შენ, როგორც ვარსკვლავთ მრიცხველს შორით უცვნი ფიქრში მნათობი უხილავი გაბრწყინებულა, მუდამ ხედავდი შენ სამშობლო რევოლუციას, თუმცა სიშორის თეთრი ნისლი მაშინ ებურა

და მისი ხილვით ციხეების შავ ჯურღმულებში, სადაც სიბნელით დამურებიც გაფითრდებიან, რამდენი წელი დაგიღამდა კობა ჯულაშვილს, რამდენი დილა ჩაფიქრებულს დაეთენებია. ანდა რამდენჯერ ტყვეობიდან გამოქცეული,

შემოვარდნილხარ მაღაროში, ღამეს ელვიანს, და შემოკრებილ მონების წინ, აზრით რჩეულით, კატაკომბებში ხელამართულს გამეტყველენია

ახლა კრემლში ხარ, ოქტომბერით ზეცას ნამხარს გადმოადექ და ნათელივით ყველგან ვრცელდები. ლენინის შემდეგ შენ პირველი ხელოვანი ხარ მარქსის აზრების სამქედლოში გამოზრძმედლი.

და სად შიმშილი ანათებდა ყვითლად სახეებს, სადაც მაისი ციხეების ჩრდილში ბნელოდა, მილიონები, ჩვენო კობავ. შენი სახელით დღეს შედგომიან ახალ ქვეყნის აღშენებლობას.

ისინი ქმნიან, ქმნიან ბრძოლით და მიღწევებით, ცივ აგურებთან სიყვარულით ღამე ნათენვი, დადგეს ქარხნები, ეს მაღალი მყინვარწვერები, სპილენძის ფერად ანთებული განთიადებით.

შენ გასძახე და... სად ღრუბელ ქვეშ ეგდო სოფელი, სიღარიბისგან დაქონდრილი, წვიმით, მწუხრებით, ახლა ციხფერი ლაჟვარდივით მინდვრებს მოფენილს აკვამლებული ფორზონები წავლენ გრუხუნით.

კლდენი ბალახით შემოსილან, ტბები დამწვარან, სხანაირ დროთა ჩუხჩუხია სოფლის წყაროდან, ახალი გლეხი—გაზაფხულის ასოთამწყობი დაცვარულ ნერგებს სრიოკებზე გაშლის ბწყარებად.

შემდეგ გახედავ ამ სივრცეებს როგორც კვანძებს, ყანების მწვანე ოკენე ლაჟვარდს ეჭრება, ჩვენი პლანეტის შექცხედზე, დიღო ბელადო, შენგან ნათქვამი გაზაფხული გადაბეჭდილა.

შენ გასძახე და... წერაქვებით, ცეცხლის გაჩენით, აღრიალებულ მდინარეებს ხალხი შეება და წყალთა ზვირთნი მოჩრჩილებით მოჩანჩახენი, ჯვებირთა შორის, რომ ჩამოადგეს მაღალ კლდეებად.

ახლა ვარსკვლავთა ქარხნებისკენ მწყობრად მიდიან, პირველ ყოფილი ქაოხების ვაცდენ მოედანს, და ქარხნებიდან შუალამით სოფლებს ბინდიანს ათრთოლებული ოქროს ფერი დილა მოედვა.

ირგვლივ, ყოველგან ელექტრონის ჩადვა ბუნება, ელექტრონის წინ მწვანდებიან სოფლის ყანებიც; და მისარია, შენი აზრი ელსადგურიდან რომ ჩემს ოთახშიც არის შუქად გამოყვანილი.

შენ, ვინც გვასწავლე მილიონებს ბრძოლის ხელობა, დაუდგარი აჯანყები სოფლებს, ქალაქებს, ვინც მუნჯი მონა, პირმოლებულ ქვემეხებიდან ძველ ქვეყანასთან ყუმბარებით ალაპარაკე,

ვინც ოქტომბერის ქარიშხალით შესძარ ველები ბარიკადებში სისხლის ქცევით რომ გიბრძოლია, დღეს გვიკარანახებს, და ურიცხვი მწერლის ხელები ვწერთ ამ მიწაზე კომუნისზმის ვრცელ ისტორიას.


მაგრამ თუ მტერი ნაცნობ ხმალით აკაშაშებით, გადამწვანებულ ჩვენ ჰორიზონტს ამოანათებს, რომ დაარბიოს დიდებული ჩვენი სამშობლო, ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრეს ვით მოძალადე,

მაშინ სტალინო შენ აიწვე სულ უფრო მაღლა და მთელ მსოფლიოს გადასძახებ კაცი ვება, და შორ მინდვრებზე, ტრამალბზე, უფსკრულებს გაუნა დაიძვრებიან არმიები ცოცხალ ტყეებად.

მტერს შეუტონ საეკაცოდ ღონე მოკრებილს, მთამ ცას შეგრგვინოს, ცამ სივრცენი შესძრას ქუხილით, რომ ამ გრიგალში, შავ შტოების აბოზოქრებით ათასწლოვანი ეცემოდნენ მიწას მუხებშიც.

რომ გადმოინგრენ ძველ ქვეყნების ყველა ფუძენი, სადაც ჯერ კიდევ მონობისა ისმის ვება, და ცაში ნასროლ ყუმბარების მწარე ზუზუნნი მომდერლის ჩანგზე აჟღერებულ სიმაღ ვებას.

მღეროდეს იგი: დედამიწას ღამით შემოსილს რა თავგანწირვით, სიყვარულით, ბრძოლით, წვალებით მოვიდა ხალხი კომუნისზმის ნათელ ეპოსით და წინ სარდალად მიუძღოდი სტალინი.



ავსტრიის კოლმბარიატის სჯანმეზა 12-15 თებერვალს

სურათზე: დოღფუსი (X) პირადდ თაურობს არტილერიას, რომელიც ანადგურებს შუშათა უბანს — ფლორიდსდორფს.
(გენა).

ასალი აღამიანები

ალმასანდრა მუთათელის ნაკვები

შვი ზღვის ნაპირზე მიჰქროდა ბათუმიდან გამოსული მატარებელი. ჩატარდენ სადგურები — მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ჩაქვი...

აქარა!

ალმოდებული მზის ბორბალი ნახევრად ჩაესვენა პორიზონტთან და მისგან გამოსროლილი ალისფერი სხივი და შუქი საქორწინო ქამარივით შემოერთყა წელზე გოლიათ ზღვას, ზღვასთან იდგნენ ქარვისფერ დასავლეთის ზეწარზე ახატული და მზისაგან სახევაბრწყინებული ვაყები, ქალები და ბავშვები. ბავშვები ყვავილთა გვირილის თავსაკრავით მორთულან. მოცურავთა სხეული იყო ზანგის ტანივით მზით გაროჯული.

ქაფიანი ტალები აბნევენ ნაპირზე ტამსა და ხარხარს. რჩება გადარეცხილი ფერადი კენჭები და ნიჟარები, შავ ზღვიდან მონაბერ ნიავისაგან შარიშურებენ მარაოსავით გაშლილი პალმის ტოტები, ქოლგასავით გაშლილ ტოტებით ჩარაზმული თეთრტანიანი, მალაქ და საარაკო ევკალიბტები ზანტად

ქანაობენ ეთერში სიზმარივით, კადრილიონებით, ოლენდრებით, ცისფერ და ნარინჯისფერ ყვავილებით საესე ბალების იქით ჩაის პლანტაციები, სუბტროპიკულ მცენარეთა ზონაა. ვაგონის მარჯვენა ფანჯრიდან მოსჩანან იისფერ ბურუსში ვადამდნარი გურია-აქარის მთები.

მგზავრები დახარბებულ თვალთ ვასტქერიან სუბტროპიკულ მცენარეებით შემკობილ არე-მარეს.

თვალწინ იშლება თითქოს იამატო!

აქარა! რა მალე ხდება იგი ჩვენი ვავშირის უმდიდრეს კუთხედ!

ქობულეთში ჩვენი ვაგონი რუსეთიდან ჩამოსულ ექსკურსანტკრავთ ასო. შემოლაგდნენ ვაყები და ქალები. მზისაგან გარუჯული და კილბილივით აწითლებულ სახე-პ თ. ბარგი-ბარხანა დაიწყეს და ერთ წუთში უკვე საესებით მოიკალათეს ისე ვით თავის სახლში. ჩანთები და ჩაიდანები შემოიხსნეს. ექსკურსანტი მუშები იყვნენ ლენინგრადიდან და მოსკოვიდან, ვაისმა ქალთა სიცილი, ვაჟთა ოზუნჯობა

და ფანჯარასთან მდგომთა ამოძახილი:

— აღუარსტან! გრუზია! — ისინი ეცნობიან მოძმე რესპუბლიკებში წარმოებულ მშენებლობასა და მიღწევებს.

ვაგონში დაუსრულებელი სიარულია, შლივინი და ჯიკავი. სიცხეა და სივიწროვე. ხალხი ოფლში იღვრება. სათნო და საამო სახის ახალგაზრდა გურულ ქალს დახუთულ ჰაერით შეწუხებული ბალლი უკნავის მუხლზე. ბალლი პერანგის ამარაა. დედა ძუძუს ატენის ხანაში და თან ჩასძახის:

— სუ, ნუ ტირი!

რუსმა ახალგაზრდამ დაიკავა ადგილი და ვაესაუბრა მის გვერდით მჯდომ მგზავრს:

სიცხეა, ამხანაგო! — ხალათის საყელო გაიხსნა და უბეში სული შეუბერა თავის გაოფლიანებულ ტანს. იგი გამუდმებით ეწევა თუთუნს და ყველასთან ასწრებს ვასაუბრებას:

— საცოდავი, როგორ გაოფლიანებულა! — მოუცაცუნა მან გუ-



რული ქალის ბაღს ლოყაზე ხე-
ლი.

— მე ვფიქრობ ეს მას მალარიი-
საგან მოსდის! — უპასუხა რუსუ-
ლად ქალმა. ახლავარდა არუსმა
თვალეები დააჭყიტა და ბაღის დე-
დას შეეკითხა:

— განა მალარიამ ოფლი იცის?

— რა თქმა უნდა! — უპასუხა
ქალმა.

— მაშ მე დავლუპულვარ! გესმის
შენ, პეტრე? — მიჰმართა მან თა-
ვის ამხანაგს და ოხუნჯობით ქინა-
ქინი სთხოვა.

პეტრე მემანქანეა, წყნარი და ნე-
ბისყოფით სავსე სახე აქვს. ხშირი
და ქერა წარბების, წინ წამოწე-
დილ შუბლის ქვეშ ბავშურ გუ-
ლუბრყვილობით სავსე თვალეები
ანათებს. ცხვირი — დაბერილ ნეს-
ტოებით. ბაგე—სქელი. სახე—სავსე
ენერგიით. იგი გადაიკრავს მონ-
ლოლთა სახის იერს, ქალები იყვნენ
ჩვეულებრივნი — რუსეთის მასის
მიხედვით: თვალეები მოციხფრო და
თმები მწიფე პურისფერი. ყველა
უბრალო და სადა სჩანს, მემანქანე
საუბრობს ახალგაზრდა ინჟინერ-
თან. ისინი სიტყვები: „ამერიკული
სისტემა... ორთქლის ქვაბი... რეგუ-
ლატორი... ჩვენი ბრიგადა... მე შე-
ვიტანე პროექტი“... მათი საუბრის
საგანია: მატარებელის მიმოსვლისა-
თვის მეტი დადებითი შედეგების
მიღება და ნაკლები ხარჯის გაღე-
ბა. შემდეგ საუბარი ჩამოვარდა თა-
ნამედროვე ტექნიკაზე, რაშიაც
თვალსაჩინო იყო ცოდნა, ინტერე-
სი და სიყვარული საქმისადმი.

მუშა-მემანქანის წინ ზის მისი ცო-
ლი, წითელ თავსაფრით. მასთან სა-
უბრობს მეზღვაური ვლადიმირი.
იგი უყვება ოენინგრადის ქარხნის
მუშა-ქალს თავის თავგადასავალს.
ბავშობიდანვე უყვარდა ვლადი-
მირს ზღვა, ნავთსადგურზე უცხოე-
ლთა გემების და მეზღვაურთა გა-
ბედულ სახიების ცქერა, მათი მუ-
შტი და კრივი... მეზღვაურთა შალ-
ვრების ზღვასავით ფართო ტო-
ტებს მოჰქონდათ ტავერნების, ხი-
ზალალისა, აყვავებულ ქვიშების
და იამატოს ფერადი ქვიშის სურ-
ნელი... ბავშობიდანვე ჰხატავდა
ვლადიმირი გემების, კრეისერების
მოდელებს და მექანიზმს, შემდეგ,
თანდათან ისე შეისწავლა და ისე-
თის სიცხადით ჰქონდა წარმოდგენი-
ლი გემის აღნაგობა, რომ შეეძლო
დაეხატა იგი ვერტიკალურ და ჰო-

რიზონტალურ ხაზზე განკვეთიდაც.
ჰხატავდა ყვილგან: სახლში და სკო-
ლაშიც, რისთვისაც არა ერთხელ მი-
უღია „ბრძენ პედაგოგისაგან“ სას-
ჯელი. ვლადიმირს ავონდება ბავ-
შობა, სკოლა. დიდი დასვენებაა.
მაგიდაზე გაუშლია რვეული და
შიგ ხატავს თავის შეყვარებულ
გემს და კრეისერს. ირგვლივ ამხანა-
გები დაჰხვევია და ვლადიმირი აც-
ნობს მათ გემის ნაწილების სახელ-
წოდებას და დანიშნულებას. რო-
დესაც ვლადიმირი იწყებს სამანქა-
ნო განყოფილების ახსნა-განმარტე-
ბას, მოწაფეები ირონიულ ღიმი-
ლით შორდებიან და ამბობენ: „მუ-
დანი ერთსა და იმავეს ხატავს!“ ხო-
ლო გერმანელი ერთი მოწაფე,
კარლ ჰამერი გულმოდგინე დას-
ჩერებია ვლადიმირის რვეულს და
ყოველი ხაზის მოსმისას, ნიშნად
თანამშრომლობისა და თანაგრძო-
ბისაც, გამოწვდილ ენას ატრია-
ლებს. ქსინავს კარლ ჰამერი და მის
ნესტოებიდან მონაბერი სუნთქვა
ფშვინავს და უსტვენს ვლადიმი-
რის ყურის ნიჟარაში, როგორც და-
ხატულ გემის საყვირი, ვლადიმი-
რი თავს განზე გასწევს და ღიმი-
ლით ამოხედავს გერმანელ ყმაწ-
ვილს. „გუტ, გუტ!“ — ამხნევებს
კარლი. შემდეგ ვლადიმირი და
კარლი გახდნენ მეზღვაური. ყოფი-
ლან შორს ნაოსნობაში, უნახავთ
ოკეანები და უტყობ ქვეყნები—სინ-
გაპური და ინდოეთი... ესლა ვლა-
დიმირი ბალტიის ფლოტის კრეი-
სერზე მსახურებს შეთავურად.

კრეისერის უზარმაზარი ფრონ-
ტონი, რომელიც ათასამდე კაცს
იტევს, ტორტმანებს ბალტიის
ზღვაში ფოლადის ჯავშანით გარე-
მოცული და შორს გაწვდილი მისი
ზარბაზნების ლულები მზად არიან
საბჭოთა ქვეყანაზე მომხდურთა
შესახვედრად. ხანდახან მეზღვაუ-
რები დაიწყებენ გემზე ჭიანჭველე-
ბივით ფუსფუსს, მაგრამ უმთავრე-
სად ისინი ჯავშნოსნის ხვრელების
შიგნი თიმალებიან და მაშინ, სუს-
ზიან ზამთრის სასტიკ ყინვების
დროსაც კი ოფლი იწურებიან.
ქსინავს მანქანა, აღუღებელი ქვა-
ბი. ორთქლი ცვარცვარად სწვე-
თავს ჭერიდან და ვლადიმერი, პე-
რანგის ამარა, ტომრით სწმენდს
და ამრობს კაიუტის შიგნით დამ-
დვარ წყალს. მეზღვაურები ხში-
რად თვებობთ ვერ ნახულობენ ხმე-
ლეთს, ქალაქს, ნათესავეს, ქალს

რამოდენიმე დღით ამ საათით ხმე-
ლეთზე ჩამოსული მემანქანე
ლომ ცდილობს ერთგულ ქვეყანა
ნესტოს ყველა ის სიტუაცია
და ნეტარება, რომელიც კი გააჩნია
სანაპირო ქალაქს.

ვლადიმირი ჰგავს სტიქიონთან,
ზღვასთან ბრძოლაში გამობრძე-
დილს, მუდამ საშიშროების წინაშე
მდგომსა და თავგანწირულ ხალხთა
შვილს. მუდმივ მეზღვაურთ, რო-
მელთა გემების საყვირები ბლავიან
გებრალტარში, მადაგასკართან...
ვლადიმირის სახე გარუჯულია მზი-
სგან. კისრის ძარღვები დაზიდულ
და დაგრებილ თოკივით ასვლია.
ნესტოები თითქოს გათხრილი გვი-
რანბა. ყბის ძვლები — ზღვაში გა-
წვდილი კუნძულების ხრიოკი. იმათ
ამოქებს წყლისფერი, მჭრელი თვა-
ლები, თვალეები (ვივი და ფოლადი-
ვით მაგარი, აღმსივით ბასრი. ისი-
ნი ყოველთვის გასტევენ მოპირდა-
პირეს. ასეთი თვალეების მქონე მე-
ზღვაურებმა დაამხვეს მეფის ტახ-
ტი, გადაიტანეს ოქტომბრის რევო-
ლუცია.

შავი ზღვის იქით — ცის დასავ-
ლეთით იდგა ზანძარი. იგი ანათებ-
და ვაგონში მსხდომ მეზღვაურებს. მა-
თი სახეები შეიღება წითელი ფე-
რით. ახლა ყველა უცქერდა ზღვის
და წამიერ სიჩუმეში მუშათა და-
ღუმებულ სახეებიდან თითქოს გაი-
სმა შორეული სიმღერა, სიმღერა
ახალი! თითქოს მუშათა დაძაბულ
ცქერაში გადიოდნენ მანქანათა ძე-
ლები, ბორბლები და ღვედები ჩქა-
რი ტრიალით. თითქოს მუშები
ყურს უგდებდნენ დაზგებისა და მან-
ქანების გრიალს. თითქოს ისინი
უცქერდნენ მალა აწვდილ ბოლ-
სადენების ტყესა და ქარხნებს. თი-
თქოს უჩანდათ უზარმაზარი ტრან-
სპორტერები, მთაში გათხრილი მა-
ღაროები და გვირაბები განათებუ-
ლი ელექტრონის ქსელით, რომელ-
შიაც შედიან მატარებლები...

მატარებელი მიჰქროდა თავგამო-
ღებით. ვაგონში ისხდნენ მუშები,
ინჟინერები, მეზღვაურები და სამ-
ხედრო პირები. ისინი საუბრობდნენ
თანამედროვე ტექნიკის მიღწევებ-
ზე, შრომი ნაყოფიერებაზე და პო-
ლიტიკაზე... ყოველ მოსაზრებას
ისინი ასაბუთებდნენ ლენინისა და
სტალინის სიტყვით. ისინი იყვნენ
რუსეთიდან — ოქტომბრის რევო-
ლუციის შვილები, ახალი ადამიან-
ები.

სამეგრელოში

ქართული

შუბლ დაჩეხილი მთებისა და მთის ქვეშეული

ურთას მოლურჯო დაფნარი

ჩრდილავს.

კავკასიონზე ოდნავ მოშავო, —

—თეთრი ღრუბლები

გადმოწოლილან.

შრიალებს ყანა აბრეშუმით;

შელურჯულია ენგურის პირი;

ნაპირს ტალღები უფლის მსუილით,

კლდეზე ნახეთქი ჩალები ყვირის...

გავსცქერი გზას და თვალი ვერ

იჭერს,

მიდორს ვეება გოლმკერდ

გადაშლილს.

მხრებ აჩეხილი სდგანან ფიჭვები,

ვით იალქნები მღელვარე ქარში.

ნარაზენს ხედვა ველარ მოკეცავს,

დღესნარაზენი სულ სხვას მიამბობს!

ვხედავ ძალღონე გაგიორკეცდა,

ტყეში გაზრდილო ადამიანო!..

იქ სადაც მიწას ანწლი ფარავდა,

იყო ჭაობის ნელი დინება;

ჭაობებიდან კოლოს ქარავანს,

უხვად მოქონდა სოფლად ციება,—

—დღეს ბალებია თვალის წარმტაცი,


ხეებს ნაყოფი გუნდებად აწევს.

მზე სხივებს დაყრის კორდზე აღმა-

ცრივ

და ცელქი სიო ალვის ხეცს არხევს.

ალ. საჯანია.



ახალი ნავთსადგურის მშენებლობა ინგლისში

საუსემტონში ახლო წარსულში დამთავრდა მსოფლიოში უდიდესი ნავთსადგურის მშენებლობა, რომელსაც შეუძლია დაიტოს უდიდესი გემები.

სურათზე: 25.500 წყალწყვის გიგანტური გემი „მეთესტიკ“ შედის ახალ ნავთსადგურში.

ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები

საქართველოს მუშა-ახალგაზრდობის თეატრი

მარტის რიცხვებში ქუთაისის თეატრალურ რეპერტუარში ნახეს საქართველოს მუშა-ახალგაზრდობის თეატრის („ტრამის“) მორიგი საჩვენებელი სპექტაკლი „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“.

პიესის ავტორი ნ. მიკიტენკო უკვე საკმაოდ ცნობილია ჩვენი პროლეტარული ლიტერატურის მასიური მეთვლეისათვის.

„ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“ კომკავშირული მხარის და ჯანსაღი ცხოვრების რომანტიკაა. აქ რეალისტური ხერხებით მოცემულია „ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი დამკვირვებელი, კომკავშირის მაქაბლები“ ახალი ადამიანები, რომლებიც ბოლშევიკური ტემპებით და შეერთებული ინტელიჯენციის დამთავრებისათვის, მისი საბოლოო გამარჯვებისათვის „ახალი ყოფაცხოვრებისათვის, ამ მებრძოლ ათასეულებს არ ეშინიათ არავითარი სიძნელის არც სოფლად კოლექტიურ და არც ქვემო ინდივიდუალურ

ცხოვრების მშენებლობაში. პიესაში ხაზგასმულია დადებითი ხასიათის მქონე ინჟინერის, მისი ცრლის ნეოლანას და გიზოს მოქმედებათა მთელი სისტემა.

პიესას გადმოკეთებით ბევრი რამ მოუგია, რუსულ ტექსტთან შედარებით. სპექტაკლის გაფორმებაშიც ძირითადად დაძლეულია ტრამის შემოქმედებითი მეთოდის ძველური (სქემატიზაციის) შეცდომები. თუმცა ნომინალში ამ მხრივ მეტის გაკეთება საჭიროა. აქაც თავისი გამოხატულება პიესის ფორმალისმისა და უმიზნო ესთეტიკის უხვი გამოვლენება. (წვიმა, სარკე, სცენა ანწალზე), მაგრამ ტრამი ამ სპექტაკლის მილიანად გამოვიდა პრიმიტიულობის, სქემატიზაციის და ფორმალისმის წინააღმდეგ, რომელიც ესოდენ ქარხნით იყო მის წინანდელი პრაქტიკაში.

პიესაში არის ზოგიერთი გაქიანურებული დიალოგები, რომლებსაც მოქმედების კვანძთან არც იდენტურად და არც მხატვრულად არა აქვთ კავშირი. აქვე უნდა ითქვას მასიური პასუხების, სიმღერის (მე-2 მოქმ.) და ზურთის თამაშის სცენაზე შეუცვლელად გადატანის შესახებ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო ცხოვრება და პარტიის მეთაური როლი კომკავშირზე სპექტაკლში უკანა რიგზეა გადაყვანილი.

ეს სპექტაკლი ტრამის მორიგი წინსვლის მაჩვენებელია, მაგრამ წარმატებულმა თავბრუდახვევა არ უნდა გამოიწვიოს. ტრამის მუშაობა საჭიროებს მიღწევასა და ნაკლთა აშკარა მხილვას, კონკრეტული გზების ჩვენებას, სოციალისტური თეატრის „მექმანისათვის, მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდის რეალიზების დაუფლებას.

მიღწეულ წარმატებათა განმტკიცებით ტრამის მომავალში კიდევ მეტად გააღრმავებს და გაამრავალფეროვებს თავის ბრძოლას ჯანსაღი კომკავშირული—გმირული ეპოპეისათვის.

პ. ხმალაძე.

ვინ არ იცის ამ კურორტის სასწაულო მოქმედება, მაგრამ ბევრმა არ იცის მისი წარმოშობის ისტორია. ეს ისტორია ჯერ არ დაწერილა. ლიტერატურამ არ იცის, ვინ მიაქცია პირველად წყალტუბოს წყლებს ყურადღებას. უდაოა ერთი: წყალტუბოს თბილი წყლის აღმოჩენა შორეულ წარსულ უნდა ეკუთვნოდეს.

მრავალი ლეგენდაა შექმნილი წყალტუბოს ირგვლივ, მაგრამ მათ შორის ერთი ყველაზე ახლოა სინამდვილესთან. ძველთაგანვე წყალტუბოს მიდამოები ზამთრის საძოვრებს წარმოადგენდა. აქეთ ჯოგს ერეკებოდნენ მეგრული მწყემსები. ერთ საბრალო მწყემსს მუდამ ქარში, წვიმაში და თოვლში ხატიალისაგან მუხლები ჰქონდა მოსხლეტილი. ძვლებში და რბილში გამდგარმა ქარებმა მას თითქმის წაართვეს მოძრაობის უნარი. იტანჯებოდა საბრალო მწყემსი, ბატონის ჯოგს ერთგულად ვედარ სდარაჯობდა.

ერთხელ ცხვრის ფარა მთის კალთებიდან დაეშვა ქვევით, დბლობისაკენ. მწყემსიც ვაივავლახით თან გამოჰყვა. ჭაობში მან აორთქლებული ნაკადი შენიშნა. მიუახლოვდა და გაშინჯა. წყალი თბილი აღმოჩნდა. ტკივილებისაგან შეწუხებულმა მწყემსმა ფეხები წყალს შეუშვირა—ეგებ სიამე ვიგრძნოვო. ასე გრძელდებოდა რამოდენიმე დღეს. წყალმა სასწაულო მოქმედება დაუქმდა და უნდა იყოს, რომ მწყემსს მართლაც დაუბრუნდა ტკივილები. ბოლოს ის სავსებით განიკურნა.

სასწაულო მოქმედი წყლის ამბავი მთელ კოლხეთს მოეფინა. ხალხმა მას წყალტიბუ უწოდა, რაც მეგრულად თბილ წყალს ნიშნავს. წყალტუბოს წარმოშობას სიტყვა „წყალტიბუმიდან“ ხსნიან, რაც ადგილობრივი გამოთქმით „ტუბო წყალს“, დაჭაობებულ წყალს ეწოდება.

წყალტუბოს ისტორია რევოლუციის წინა პერიოდიდან იწყება, როდესაც ამ წყლებს პატრონებად მოველინენ აზნაური იოსელიანები, კინწურაშვილები და შეძლებული გლეხი აფხაძეები.

ვინ არ იცნობდა წყალტუბოსა და ქუთაისში „მოსე მწერალს“—გიორგი იოსელიანს, არაჩვეულებრივი სიმალის და მოყვანილობის კაცს. ამ გაქნილმა აზნაურმა ტბილი სიტყვით, მოტყუებით და მუქარით ხელში ჩაიგდო მთელი წყალტუბო და სიმდიდრის წყაროდ აქცია იგი. იჯდა გიორგი იოსელიანი თბილი წყლის აუზთან და თითო შაურად ჰყიდდა წყალში ჩასვლის უფლებას.

შაურიანებით იოსელიანმა ქონება დააგროვა, წყალტუბო კი ისევ პრიმიტიულ აუზებად რჩება.

თებერვლის რევოლუცია იოსელიანს არ უგზავნიდა. წყალტუბოს კვლავ ათასები შემოქონდა თავისი

პატრონისათვის. რევმატიზმით ხელფეხ გაკავებული გლეხები კი ისევ ტალახიან აუზებში ეძებდნენ ხსნას.

ოქტომბრის გრივალმა შორს გადაისროლა იოსელიანი წყალტუბოდან. წყალტუბოს წყლებს მუშურგლეხური მთავრობა დაეპატრონა და დაიწყო ზრუნვა კურორტის კეთილმოწყობაზე.

წამალი იმავე დროს საწამლავიცაა, თუ მას ზედმეტი რაოდენობით ვიხმართ, წყალტუბოს მთელი სასწაულო მოქმედება იმით აიხსნება, რომ ამ წყალში ბუნების მიერ მოცემულია ერთი ნივთიერების ისეთი დოზა, რაც სასარგებლოა ადამიანისათვის. ეს ნივთიერება სხვა დროს ანგრევს ადამიანის ორგანიზმს. მისი სახელია რადიუმი.

რადიუმი გასული საუკუნის დამლევს აღმოაჩინეს ფრანგმა მეცნიერებმა,—ცოლქმარმა კიურიმ. მათ რადი მიიღეს ურანის მადნიდან. რადის ახასიათებს სხვადასხვა სნეულებათა განკურვნის თვისება. ეს სრულად შემთხვევით გამოაშკარავდა.

გამოჩენილმა ფიზიკოსმა ბეკერელმა, რომელმაც კიურიზე ადრე მიაქცია ყურადღება ურანის მადნის განსაკუთრებულ სხივებს, მაგრამ ვერ შესძლო ამ მადნიდან ახალი ნივთიერების მიღება, რადის აღმოჩენის შემდეგ განიზრახა მოხსენების გაკეთება ლონდონში და თან წაიღო ჯიბით შუშის ყუთი რადიუმის მარილით. ლონდონში ჩასვლისას მას ტანზე აღმოაჩნდა იარა, რომელიც ზომითა და ზედაპირებით სავსებით შეეფერებოდა შუშის ყუთს რადიუმით.

აშკარა შეიქნა, რომ რადიუმი განმანადგურებლად მოქმედობს ორგანიზმზე. ბეკერელის გადასვლას პარიზიდან ლონდონში ექვსი საათი და სჭირდა, იარის მორჩენას კი რამდენიმე თვე მოუწია. შემდეგ პიერ კიურიმ შეგნებულად გაიმეორა ეს ცდა. მან სხეულზე დაიდო რადი 10 საათის განმავლობაში და უფრო დიდი იარა მიიღო. აქედან იწყება რადიუმის გამოყენება ავთვისებიან სიმკვამრების დასაშლელად (კიბო, სარკომა).

რადი ანადგურებს ადამიანის ორგანიზმს, მაგრამ განსაზღვრული დოზით იგი უებარი საშუალებაა მთელ რიგ სნეულებათა განსაკურნავად. აი ეს რადიუმი მოიპოვება წყალტუბოს წყალში და აქედან წარმოსდგება მისი სასწაულო მოქმედება (ფიქრობენ, რომ წყალტუბოს წყლის სამკურნალო თვისება შესდგება სხვა ელემენტებისაგანაც, რომელთა შორის რადიუმიცაა).



არქეოლოგიური კოლექციის გამოფენა

საქართველოს მუზეუმმა გაშალა მუშაობა თავისი არქეოლოგიური კოლექციის გამოფენის ირგვლივ, რაც თვალსაჩინოდ გვეჩვენებს კლასობრივი საზოგადოების წინაპირობს აკავკასიაში. გამოფენა შესდგება თემობამდე არსებულ კომუნისა და თელურ კომუნის განყოფილებისაგან. გამოფენის ყველა ექსპონატები შედგენილი იქნება ნამდვილი ნივთებისაგან, რომლებიც აღმოჩნდნენ აკავკასიაში გათხრების დროს დაწყებული ბაიორენას (მცხეთა 1872 წ.) და გათავებულს უახლესი გათხრებით. გამოფენა გაიხსნება უახლოეს ხანში.

სურათზე (არქეოლოგიური კოლექციის ახალი ექსპონატები და მანეთიანები. ექსპონატთა შორის არის საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამკაულები; ქვის ნაჯახები და თავის ქალას მკვეთები, რომლებიც ეკუთვნის თემობამდის წინა პერიოდს.

დიუმს მთავარი ადგილი უჭირავს). წყალტუბოს დაღუპვის გზაზე დამდგარი მრავალი სიცოცხლე გადაურჩენია, ბევრი კუტისთვის დაუბრუნებია მოძრაობის უნარი.

16.000 ავადმყოფმა გაიარა წყალტუბოში მიმდინარე წლის იანვრიდან ნოემბრამდე. ყველამ შევება იკრძო. წყალტუბო მშრომელთა ჯანმრთელობის ნამდვილ სამკურნალო გადაიქცა. იქ, სადაც იოსელიანების დროს მხოლოდ ორი აბანო იყო, რომელთაგან ერთი გობერნატორისათვის, ხოლო მეორე ეპისკოპოსისათვის იყო მიჩნეული, ეხლა ხუთი აბანოა. შენდება და გაზაფხულიდან ამოუშვდება ახალი დიდი აბანო, გადაკეთებული და გაფართოებული იქნება № 2 აბანოს შენობა.

წყალტუბოს ღირექციის უღალა მიღწევას წარმოადგენს № 1 აბანოს გაფართოვება-გადაკეთება. ეს აბანო ხალხში ცნობილია „დიდი აბანოს“ სახელწოდებით. ის მართლაც დიდია. თითო აუზი იტევს ასამდე კაცს. აბანოს ძველი შენობა ერთობ მოუხერხებელი იყო. არ იყო ავადმყოფთა შოსაცდელი ოთახი. ქალი და კაცი ბუზივით ირეოდა კარებთან, ყოველ შესვლაზე ჩხუბი და უსიამოვნება იყო.

ეხლა № 1 აბანო სულ სხვაგვარად გამოიყურება. მოწყობილია ფართო მოსაცდელი ოთახები ქალებისა და კაცებისათვის ცალ-ცალკე, სადაც ავადმყოფს მისი რიგის მოსვლამდე საშუალება აქვს უურნალ-გაზეთების კითხვაში გაატაროს დროს.

ავადმყოფი მოსაცდელ ოთახიდან შედის გასახდელ ოთახში, აქედან გაივლის „ღუმს“. და გასუფთავებული ჩაიღის აუზში. გასახდელი ოთახის გერდით მოთავსებულია მოსასვენებელი ოთახი, სადაც აუზიდან ამოსულ მძიმე ავადმყოფისათვის დადგმულია რბილი ტახტები.

აშენდა № 1 სანატორიუმი, № 1 აბანოს ახალი შენობა, სამკურნალო კომისიის დასასვენებელი სახლი, პოლიკლინიკა, რენტგენის კაბინეტით, კლუბი, საპარაკმახეროს შენობა და ბინები თანამშრომლობისათვის.

ავადმყოფთა კვების გასაუმჯობესებლად კურორტს აქვს მეღორეობის ფერმა 170 ღორით, მექათამეობის მეურნეობა 500-დე ქათმით, მეფუტკრეობა 35 სკით და ბოსტანი 7 ჰექტარზე, სადაც ითვისება ყოველგვარი ბოსტნეული და საუცხოვოდაც ხარობს. აგებულია აგრეთვე ყვავილნარები, სადაც ზრდიან ყვავილებს და ცდებს აწარმოებენ სხვადასხვა

კულტურულ ობიექტებზე მათი ადგილობრივ ჰავასთან შეგუების მიზნით.

კურორტს გადაეცა მალაქის მეცხოველეობის ფერმა 70 ძროხა-ფურცამეჩით და 100 ღორით. ეს მეურნეობა დიდ სამსახურს გაუწევს კურორტს და გაანთავისუფლებს მას კერძო ბაზარზე დამოკიდებულები-საგან ზოგიერთი პროდუქტების შექმნის დარგში.

წყალტუბოს ერთი დიდი თანდაყოლილი ნაკლი აქვს. ეს არის მდინარე წყალტუბო, რომელიც ბევრდით ჩაუდის სამკურნალო წყლებს და ადიდების დროს აბანოებში შედის. ამის გამო აბანოებით სარგებლობა წვიმიან დღეს შეუძლებელია. კურორტის კეთილმოწყობა არ მოხერხდება, ვიდრე ეს მდინარე გადაგდებული არ იქნება ახალ კალაპოტში.

შემოდგომის ნესტიან დღეში, როდესაც მზის ღიმილი აღარ ათბობს მიდამოს და ცას სახე ჩამოსტირის, წყალტუბოს მიწას ოხშივარი ასდის. აქა-იქ მიწიდან სქელი ბოლი მიიმაართება, თითქოს ცეცხლი გაუჩაღებიათ. ეს მიწიდან მოჩუხჩუხე თბილი წყლის ორთქლია. წყალტუბოს მიდამოები დასერილია სამკურნალო წყლის ნაკადებით. აღრიცხულია 300-დე წყარო. წყალი უხვად ამოდის მიწიდან და რადგანაც გამოყენებას ვერ პოულობს, იღვრება და აჭაობიანებს იქაურობას: ერთერთი ასეთი წყაროს დებეტი 350.000 ვედროს აღწევს დღელამეში. ამოდენა ძვირფასი წყალი უსარგებლოდ იკარგება.

წყალტუბოს წყალში ყველაზე ძვირფასია მისი რადიქტივობა. იმ წყლებიდან, რომლებიც ამჟამად ხმა-

რებაშია, მაქსიმალური რადიქტივობა აღწევს 19 ერთეულს (ნაგალი № 3). ამავე დროს ამ ნაკადის გვერდით, მისგან რამდენიმე ნაბიჯზე მოიპოვება წყარო, რომლის რადიქტივობა 92 ერთეულს შეადგენს. ეს წყარო გამოუყენებელია.

აქედან წარმოსდგება უდიდესი ამოცანები წყალტუბოს წყლების გამოყენების დარგში. მთელი ამ სიმდიდრის ათვისება ათეულ წლებს მოითხოვს. კურორტის განვითარების გენერალური გეგმა 30 წლით განისაზღვრება. 1934 წელში განზრახულია მშენებლობაში მყოფ № 7 აბანოს დამთავრება (ამ აბანოს აბანანები მოგებული იქნება ადგილობრივი მარმარილოთი), პარკში აბანოებთან მისასვლელი გზების გუდრონიზაცია, კურორტის ახლობელი ზონის გამწვანება და მისი სანატორიუმის მშენებლობის დაწყება: ამ სანატორიუმში იწარმოებს სისტემატიური მეცნიერული დაკვირვება მძიმე ავადმყოფებზე და წყალტუბოს წყლების მოქმედების დაწვრილებით შესწავლა.

ასეთია წყალტუბოს დღევანდელი და ხვალისდელი სახე. იოსელიანების დროინდელი პრიმიტიული აუზი-ორმოები და ფიცრულები ადგილს უთმობს სამკურნალო მეცნიერების მოთხოვნათა მიხედვით მოწყობილ აბანოებს და კოხტა შენობებს. წყალტუბოს სახეცვლილება სწრაფი ტემპით მიდის. რამდენიმე წელი კიდევ და წყალტუბო გახდება ნამდვილ სოციალისტურ კურორტად, რომელიც მიიღებს და განკურნავს ავადმყოფებს არა მარტო საქართველოდან და ამიერ-კავკასიიდან, არამედ დიდი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან...



ბვილისი. მხატვ. პ. მრევლიშვილის სურათების გამოფენის კუთხე

ხურათზე; მხატვ. მრევლიშვილის სურათების გამოფენის კუთხე.

ნ. ნ. კ. რ. ა. ს. ო. ვ. ი.

— რ. კ. ი. ნ. ს. გ. ზ. ა. —



ქედნება ბავშვებს

ვანო: — მამაჩემო, ვინ გააკეთა ვგ გზა?
მამა: — გრაფ პეტრე ანდრიას-ძე კლემ-ინიხელმა, ჩემო საყვარელო.
(საუბარი გაგონში)

გვას დიდებული შემოდგამა, ჯანმოთელი,
უხვი,
სალი ჰაერი ძალას ბადებს, გაღლებული,
ცივსა მდინარეს გადაკვრია ყინული
რუხი,
შაქრისა მსგავსი, ჯერ ნაკლებად
გამაგრებულ.
ტყისა მახლობლად, როგორც ფაფუკი,
ჩბილ სარცელში,
ჯამოძინება შეიძლება... სივრცეა შუვილი,
ფოთლები ჯერაც უქცრობია და თან
ყვითელი
და ისე მოსჩანს, ვით ნაქარგი ხალიჩა
დიდი.
ღვას დიდებული შემოდგამა... და ყინავს
ლამით,
დღე ნათელია, წყნარი, ბუნებას სურავს
სიხარულის
წამოსასხამი... და მეფობს დარი!
მიდამო შეენის მთვარის სხივთა
გაბრწყინებულებით
და ყველაფერში მე ცენტრილობ ჩემს
მამულს — ჩუქეთს,
რკინის რელსებზე მივისწრაფი მე
გამაღლებით,
და ვფიქრობ — ფიქრებს!
— „კეთილო მამა, რისთვისა გყავს
ტყვიანი ვანო
ქარჩაყტილი, უფიცი შეტად,
ნება მომეცი გაბრწყინებულს მე ამ
სალამოს
მას გაეუმხილო ვგ რკინისგზა ვანო
გაკეთა:
ეს საქმე, ვანო, მძიმე იყო, და თანაც
ძნელი,
მას ვერ შესძლებდა ერთი მშრომელი!
ქვიხნად არს მეფე — შიმშილია მისი
სახელი
იგი გულტყვა და უღმობელი!
ის მართავს ჯარებს, და აგრეთვე
განაგებს გემებს,
ადამიანებს აკავშირებს დიდრონ
ჯგუფებად,
სახნის დაპყვება, მხარში უღდას და
უფუღება
მჭოველო, ქვისმთლებს!
იძან მორეკა აქ ურიცხვი მშრომელთა
ჯარი,
ამ უნაყოფო, ყრუ ხეების
გაოდანაქმნელად,
მით გააჩაღეს შეუღრეკი ბრძოლა
მედგარი,
ბევრ მათგანის მზეც სამუდამოდ აქ
ჩაესვენა!
სწორია ეს გზა, მოზენიული ხრეშით და
ქვებით,
მაგარ ბურჯებზე დაქვილი რელსები
რკინის,
ირგვლივ ავლია მას ხეაგები რუსული
ძვლების,
შენ არც კი იცი რამდენია, ვანო, ისინი!
ჩუ, საყვედურის ხმა გაისმა
განრისხებული,
თან კბილთა ღრქენა და ხმაური
თავდავიწყებით,
ყინვის სარკვეზე აიშალა დიდი
კრებული —
უბედურ მეკვდრების!
გზის პირად რბიან, ხან უფლიან წრეს
გამაღლებით

— გემის სიმღერა?
„ამ დიად ლამეს — განათებულს
მთვარის ალებით
ჩვენი ნაშრომის გეხარებს ცქერა!
ჩვენ წელს ვიწყვეტდით, გამუდმებით,
ყინვაში, ქარში,
ქედი მოხრილი შრომით გვექონდა ჩვენ
საციოდავად,
ვებრძოდით შიმშილს და ცხცოვრობით
მიწურ ქონებაში,
ვიყინებოდით, უქმელობით ვხდებოდით
ავად!
„გმძარცვავდენ ურცხვად უნამუსო
ათისთაგები,
დამშეთულო გვეცემდენ გამბეგები,
გვეტუქავდენ წყრომით,
ღეთისა მმოსავნი ჩვენ ვითმენდით
დახრილ თავებით —
ჩვენ, უწყინარი შეილები შრომის!..“
„გახრწანს გვიქადის დღეს ეს მიწა
საზარი, შავი,
ჩვენ შრომის ნაყოფს დღეს თქვენ
იმკით და გიხარიათ.
უბედურ მსხვერპლთა თუ გვიგონებთ
შინც ნეტავი,
თუ დაგვივიწყეთ დიდი ხანია“
— ნუ შეგაშინებს მათი მღერა ველური
დიდად,
რომელიც მოაქვს დედა ვოლგას და სხვა
მდინარეს,
ამ ცებერთელა სახელმწიფოს სხვადასხვა
მხრიდან.
ეს შენი მოძმე გლეხებია, ცრემლით
მეგმინარი.
სირცხვილი არის სიმხდალე და დაფარვა
თავის,
შენ ხომ პატარა აღარა ხარ, ავსილო
ჯანთო!
ხედავ თუ არა, ეგერ რომ სდგას ის
საციოდავი,
ცივებით მქენარი რუსი გლეხი, მალალი
ტანი.
თვალზე ჩამქრალსა ტუჩები აქვს
უსისხლო, მკრთალი,
გამხმარ ხელებზე წყალულებისა ატყვია
დალი,
გასიებია წყალში დგომით მას მთელი
ტანი.
თმა გაძინთვია, აღარა აქვს კუნთები
სალი!
თხრიდა ორმოებს, ხელში ეყურა სასტიკი
ბარი,
ამგვარ შრომაში გაატარა სიცოცხლე
მთელი.
დიდი წვალებით, გაპირვებით აქვს
მონადარი
მას, ჩემო ვანო, საარსებო პურის ნაჭერი!
კვლავ მოხრილი აქვს უშნო ზურგი ის
კუზინი,
დადუმებულია პირუტყვივით, ჩლუნგი
გონებით,
გაყინულ მიწას ლაფათით სჭირს,
შავი დღიანი,
დღეებს ატარებს მწარ დაღონებით,
პატივისცემა გლეხებისა მარად
გახსოვდეს,
დალოცო უნდა გლეხის შრომა,
ზარაქიანი,
ვისწავლოთ შრომა, არ ეუმუთხოლოთ
მას არასოდეს,
შრომისთვის იშვია ადამიანი.

შორს, სამშობლოსათვის სიმხდალე და
დაძაბუნება,
შავარი არის რუსი ხალხი, ამტანი დიდად,
მან გააკეთა ეს რკინისგზა, ეს საღვთურები
ყველას აიტანს, რასაც ღმერთი არ გუნებს
ტვირთად!
დიას, აიტანს ყოველივეს, და ღია
მკერდით,
გზას გაიკაფავს მომავლისკენ ნათელს
და დადას,
მაგრამ ამ დღეებს მე და შენ კი ვერ
მოვესწრებით
და ეს მალონებს, ჩემო ვანო, გულს
მიკლავს დიდად.
ამ დროს უტერად მატარებლის ცაისმა
სტვენა,
და მყისვე საღვთა გაიფანტა მეკვდრების
ჯარი.
— იცი, მამილო, წუხელ ღამით ძილში
მეჩვენა
გლეხების ფროვა, ნაშვირი სამშობლო
მხარის.
რუსეთის ხალხის ყველა ჯიშის
წინამძღოლები
გამომეცხადენ — და უტრობმა
წარმოსთქვა წყნარად:
— „ეს გლეხებია ამ რკინისგზის
ამშენებლები“.
გადიხარხარა ლენერალმა აქ
დამცინავად.
— „მე ამ ხანებში გავიციანი თვით
ვატიკანი,
კოლიზიშიც გავატარე დღეები ბევრი,
ვინაშიც ვიყავ, ვინახულე წმინდა სტეფანე,
და როგორ ფიქოვობთ ხალხმა შექმნა ვგ
ყველაფერი?
„გთხოვთ მამათოთ ეს ღაცინვა მუ
კანდიერი,
მაგრამ მსჯელობა უაზრო გაქეთ,
უნდლიო მეტად.
იქნებ ქანდაკი თვით აპოლონ
ბელვედერელის
თქვენთვის არც კი ღირს ქონის
ნატუნად...
„აბა რა შექმნა თქვენმა ხალხმა, გარდა
აბანოს,
გაანადგურა კი ნამდვილი მან
ხელოვნება.
თქვენთვის არ ვამბობ, მსურს ისინოს
მარტოდენ ვანომ“.
და გენერალი არ აძლევდა სხვას
სიტყვის ნებას.
— „თქვენი სლოვენნი, ანგლო-საქსი
და გერმანელი,
მზგრეველებია, მშენებლები კი —
არასოდეს.
ბარბაროსები, ველურ ლოთთა გროვა
შავნელი...
ყოველივე ეს საჭიროა ვანომ იცოდეს,
ბავშვისა გულის აღწვდობა ცოდვია
დიდი,
შავ სურათებით მის გონებას რისთვის
აზნელებთ?
სინათლის სხივით გააბრწყინეთ გონება
მისი
ნათელი რამე იმას აჩვენეთ“.
— 4 —
— „დიან, ვაჩვენებთ.
მისმინე, ვანო, სახიფათო ეს საქმე
ანელი,

უკვე სულდება, გერმანელი ხედავ, რელსს აგებს. თუმცა მიწაში დაიმარხა ბევრი მშრომელი, და ბევრსაც სენი, აქ შეყრილი გაჩანაგებს. მშრომელი ხალხი ანგარანთან სდვას ფერგამკრთალი, ზოგი თვალს იფშენებს და იქეჩავს კისერს წვირიანს; მოიჯარადრის ბევრ მათგანსა დაედო ვალი დღეს კაპეიტაც დაეძებნ და მისტირიან. თავის დავთრების ფხიზლად იყვენ ათისთავები, და უქეთავდენ ავადმყოფებს გაცდენილ დღეებს.

— „იქნება რამე კიდევ დაგვრჩა იქ მისაღები.

წავიდეთ“ — და თან უიმედოთ იქნევენ ხელებს.

ლურჯ მონასხამით, გაბღინძული, მეფქვილე ძველი, გაწითლებული, მედიდური ყალბი ზმაურით, მოიჯარადრე მობრძანდება — კაცი პირველი, უნდა, რომ ნახოს თავის შრომის მას მოწიწებით ეგებება ხალხთა კრებული, აქვე დამდგარა და ოფოს იწმენდს შუბლზე ვაჭარი, და ამბობს დონიჯ-შემოყრილი, გახარებული: „დიდებულია... მამაცია... კაციც მაგ არი“.

— „ქუდები ხელში, იპონიეთ კრძალვა და რიდი, რომ ვლავარაკობ, ხომ კი ხელდავს თქვენი თვალები.

მიიუქებია თქვენთვის ღვინო, მე, ბოჭკა დიდი,

და აღარა გთხოვთ სატრავსა ძველი ვალისა, ვილაცამ „ვაშა“ დაიძახა, მას ბანი მისცეს, ხედავ, როგორი ღრიანცელი, ზმაური ათისთავებმა ღვინის ბოჭკა აფორეს.

ყველა გაცოცხლა, ზარმაციც კი თვრება ხალისით... პატივის ნიშნად ვაჭრის ეტლში შეაბეს ცხენი, „ვაშას“ ძახილით გაისტუმრეს თანაც მღერინა,

ამაზე უფრო სსამიამო სურათის ნახვა თქვენ, როგორ იტყვიან, გენერალო, მგონი ძნელია...

— : —

თარგმანი: **ნარიტონ ვარდოშვილი**

კოლექტივი ალაზნის ველზე

ლევან ასათიანის ნაკვები

II

ყრება გათავდა. მოშე—ხაიმმა წაიღო თავისი მბუჭ-ტავი ფარანო. მთრთოლარე შუქი ფარფატით მიყვებოდა ღობეებს, სახლებს, კიშკრებს.

ხაიმი შეჩერდა თამბაქოს ფარდულთან, მზრუნველი თვალი ახედა კმდელს.

„შემოღობვა თქვენ იციან,—გაახ სენდა მას სიტყვები წერილიდან.—გვი შრით, სიმინდის ან თამბაქოს კეჭეჭებით“.

ალაზნის ლურჯი ღამე განახულიყო.

ისმოდა ყრუ გაბმული ჟრიაშული და ეს საოცარი ჟრიაშული ავსებდა არემარეს, ჰაერს, თვალუწვდენი ცის დაბნეულ სივრცეს, ის ისმოდა შორეულ მთებიდან, უქრან ტყეებიდან, ყრუ და უსაზღვრო ალაზნის ქალებიდან.

ეს ჟრიალი წააგავდა კოსმიურ ორ კესტრს, რომელსაც აკეთებდენ ქრიკინები.

ისინი მღეროდენ თავის ღამეულ სიმღერას.

წითელგორაში ორმოციათის საცხოვრებელი სახლია.

ეს არის „სტანდარტული“ ტიპის შენობები: თვითეული მსათგანში შეიცავს ორ თვალ ოთახს პატარა აივნით.

ცხოვრობენ ჯერ კიდევ სვიწროა. უხერხულად. შეუფუფხულად.

წითელგორაში ორასოცი, სული მცხოვრებია და ერთ სახლზე ხუთი-ექვსი მობინადრე მოდის.

სახლები ჩვეულებრივს, პაწია ფიცრულ ოდებს წარმოადგენენ: იმერულთა ყაიდით დაბალ ბოძებზე შემდგარნი, ტალახით ნალესი კედლებით და ყაფრის სახურავით, მნახველზე ნათესათევი და სახელდახელო ნაგებო-

ბის შთაბეჭდილებას სტოვებენ. ადრინა შემოდგომის დღეებში წითელგორის სახლების ფანტასტიურ სანახავს წარმოადგენენ.

მოაჯირები, სვეტები, ქერი, ცუდლები შინით და გარეთ სახურავამდე დახუნძული იყო თამბაქოს გრძელი აკიდეობით.

პატარა ფანჯრები ხალისით იყურებოდენ ამ სუროსავით ზშირად შეთენილ, ბაჯალო ოქროს ფერით დამუჭებულ ჩარსავიდან.

თამბაქო იმდენი მოუვიდა კოლექტივს, რომ საერთო ფარდულში ვეღარ დატიეს.

გამგეობა იტულებული შეიქნა კვლავ კოლმეურნეობის ბინებზე დაერიგებინათ ნაწილი მოსავალისა, გასამზრობად და მოსავლედად.

წითელგორელი დიასახლისები სადილიან საკეთებლად შორს არ მიდიან. სამზარეულო მათ იქვე, აივანზე აქვთ გამართული.

ეს სამზარეულო თიხისა და უმწვარ ავტრისაგან ნახელაგ ჩვეულებრივ ქუჩას წარმოადგენს, რომელიც პირდაპირ იატაკზე არის აგებული. ბოლი იქიდან თავისულოდ სრიალავს. ტრიალებს აივანზე. შედის და ავსებს ოთახებს.

ერთი ღამე გავათიეთ ასეთ ოთახში. თავმჯდომარის ბინაზე.

მიხეილ იოსებაშვილი, უცოლმეილო ახალგაზრდა, ჯერ კიდევ დღემამის ჭერქვეშ ცხოვრობს.

მისი ბინა შედარებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ოთახები სუფთაა, კირით შეფეთილი, მაგიდა, სუფრით დაფინილი, ფართო ტახტი, ახალი ლოგინი, სკივრი და საკუჭნაო.

კედლებზე სურათებია ვაკრული. ერთ მხარეზე: ძველებური,

ლია ბარათები ბანალური, ეროტიული შინაარსით. მათ გვერდით—მაროსავით ჩარიგებული ყვითელი, მწვირიანი ფოტოგრაფიები ნაცნობ და უცნობ, შორეულ და ახლობელ ნათესავებისა,—უამრავი მორცხვები და ზილფები, ისხაკები და რებეკები, ათონები და რაჭილები, გაყინული სახეებით, გაშეშებული ხელეებით, წინასწარმეტყველის წვერებით და შავი, გრძელი ნაწნავებით.

ეს კედელი ოჯახის მამას, მოსე ოსიგაშვილს ეკუთვნის, იქ მისი ცხოვრების თანამგზავრთა გარდასული აზრდილები გამოფენილან.

მეორე კედელი ახალგაზრდა მიხეილს ეკუთვნის: აქ უკვე თანამედროვე ეპოქაა: აქ არის ვალევი ბელადების, მათ გვერდით—სესის ზლაკატები. სამხედრო კომუნისმის დროინდელი კარიკატურები. თეთრე ბის გენერლებზე.

ამ კედლებზე უკვე მოსჩანს დიფერენციაცი გემოვნების, მოფლმხედველობის, განწყობილობის:

ეს კედლები მჭირმეტყველურად დალადებენ იმ ჯერჯერობით ფაჩულ, ხელოვნურად დაგუბებულ და დომდე გაუმჯობესებელ ანტოგონიზმზე, რომელიც ჩუმად. მკვიდრად და ჯიუტად დასადგურებულა ოჯახში.

ეს არის ანტაგონიზმი ორი თაობის. მიხეილის მამა, მოშე იოსებაშვილი, ძველ ქარდაკში ნაწრობი კაცია. ის მოვიდა წარსულიდან. მოვიდა ახალ ცხოვრებაში მტკიცედ, და ჯერებით, ურყევად. გერაგითარი ქალა სამყაროში, ვერაგითარი ზესთაბუქბრივი ნებისყოფა მას ამიერიდან გელარ დაბრუნებს უკან, რადგან ეს „უკან“ არის საუკუნეთა მანძილზე ნაკადი და გამოტანჯული მწვავე კრემლი, გაფიცებული ალ-



ჩ. ა. შ. შ. ელჩი საბჭოთა კავშირში

ჩ. ა. შ. შ. პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი (მარჯვნივ) სამხრეთში გამგზავრების წინ ესალმება ვილიამ ბულიტს, რომელიც დანიშნულია ჩ.ა.შ. შტატების ელჩად საბჭოთა კავშირში.

ხლი, სულიერი გაჩანაგება, ზნეობრივი სიკვდილი.

არა, უკან დაბრუნება არ მოხდება არასოდეს.

მინე ორივე ხელგებით არის ჩაბოჭილი ახალი ცხოვრების ახალ წესმართებას, ის ფანატისის რწმენით და ფართოდ გახედული, სასაიანი თვალგებით ჩაჰკიდებია ამ უცნობს, მაგრამ ფერადოვან ოცნებით გაშუქებულ მომავალს, და ეხლა მან იცის მხოლოდ დღევანდელი და ხვალისდელი დღე.

ამ დღის მას სჯერა, ამ დღისთვის დაუზოგველად შრომობს, ამ დღის იგი აკეთებს თავისი ხელით. ის საბოლოოდ და სამუდამოდ ახალი ცხოვრების კაცია. იგი დაიღუპება, მაგრამ არ იფიქრებს, გუშინდელისაკენ დაბრუნებას, რადგან მან მაგრად გამოჯანჯანა მისი კარები, მან დასწვა და გაანადგურა ყველაფერი, რაც ამ გუშინდელ დღესთან აკავშირებდა.

მაგრამ... როგორც ახალ ნახანძარალზე, უკვე მინელებულ ფერფლს და ნაკარზე ჯერ კიდევ დიდხანს ტრიალებს კვამლისა და ჭვარტლის ლურჯი ბურუსი, და საჭიროა დრო, ჟამი, წამოპყრობილი ნიაკი, რომ საბოლოოდ გაფანტოს უკანასკნელი მოგონება გაშანადგურებელ (უცხლის მძივნეარებისა, ისე მოშვს სულშიც ჯერ კიდევ სადგურობს ცხოვრებით. აღწერით, ტრადიციით შეზავებული ნიალი ძველი ჩვიების, რწმენის, შეგრძელებების.

მგალითად, შაბათი მოშესთვის ჯერ კიდევ წმინდა დღეა და ინახავს მოწი ამ შაბასს ისე, როგორც შეუძლია, ისე როგორც გარემოება უკა-

რნახებს ისრაელის ერთგულ ძეს.

მაგრამ გარემოება ყოველთვის არ არის ერთგული და ხელის შემწყობი „ისრაელის ძისათვის“.

— ამხანაგო მოშე! როგორ იყო შაბათის საქმე თქვენ თან იმ სამანსოვრო დღეებში თამბაქოს რომ დაკვრითი წესით კრეფავდით?

მოშე მოკრძალებით იცინის და ხელებს ასავსავებს:

— შე დალოცვილო, განა უქმისათვის გვეცალა იმ დროს? ცეცხლი დვეკიდა, გენია ცეცხლი, ვილას ახსოვდა შაბათი! უკმე კი არა. შენი სიკოცხლის მზემ. დასვენება რა იყო, დაუგავიწყდა!

მართლაც, იმ გააფთრებული მუშაობის დროს არც ერთი მოხუცი არ დარჩენილა შინ, გულზე ხელდაკრეფილი.

იმ ისტორიულ დღეებში წითელგორის კოლმეურნეობის მოხუცებში „გარემოებამ შეჰქმნა შეგნება“.

ეს იყო პირველი, ძლიერი, საშუალოდ გაუმთელელებელი ბზარი.

ასე გატარდა პირველი დროა ხელულის საუკუნოებით ხელუხლებელ, სასოებით გამოიტანჯულ ფანტაურ უტრეს ყამირში.

მოშე იოსებაშვილი მოხუცია, მართალია „ახალგაზრდა მოხუცი“. — ის 50 წლისაც არ იქნება ჯერ, მაგრამ მაინც მოხუცებში თვლის თავს და... ლოცულობს.

ლოცულობს მოშე ისე, რომ არ აჩვენებს ამას თავის მიხედვით. რადგან მისი, — კომკავშირელი შვილის.

ის ლოცულობს მეორე ოთახში. იმ დროს, როდესაც თავმჯდომარეს ძინავს, ან წასულია კანტორაში, ტყეში, ყანაში.

ლოცულობს მალულად. ალბად ოდესმე ასევე მალულად ეწერებოდა მიხეილი კომკავშირში, რადგან ეშინოდა მამის.

წითელგორელ მამებს უცხლად ეწერებოდა ალარ ეშინათ: მისთვის მისთვის ლოდ რცხენიანთ და ეხათრებათ შეილების.

ათასწლოვანი, ხელუხლებელი, ჯიუტი ყამირი იხვნება თანდათან.

ის იხვნება ნელა. მაგრამ ხნული გაიის ფართოდ და ღრმად.

ოთხი წლის წინად, 14 იანვარს წითელგორაში შესდგა კოლმეურნეთა სერთო კრება. თავმჯდომარეობდა დავით ჩაჩაშვილი. მდივნობდა მოშე-ხაიმ პაპისიმედაშვილი.

მოშე-ხაიმმა ჩვეულებრივი მუყაით ობით შეადგინა ამ კრების ოქმი. ეს დოკუმენტი ეხლა ინახება დანჯღრეული მაგიდის უჯრაში, ყოფილ სამკითხველოში, რომელიც შემოდგომაზე სავსე იყო პურის მარცვალთ.

ხორბალს დაეფარა მაგიდა, განჯინა, ასულიყო ზევით და ყელამდე მისწვდომოდა კედელზე გაკრულ ვოროშილოვის სურათს.

ხორბალი გადაჩხრიკეს, უჯრა გააღეს და ძველი ოქმის წიგნი მზის სინათლეზე გამოიტანეს.

მოშე-ხაიმმა მზრუნველობით გაბერტყა დამტვერული ფურცლები. გადაშალა, წამით ფიქრიანი თვალს დაასვენა რომელიღაც გვერდზე და თავი ჩაიქნია.

— ეს წიგნი, ამხანაგო, ჩვენი ცხოვრების წიგნია. აი, აქ, — დაადო მან ყვითელი თითი უფრო ყვითელ ფურცლებს, — აი აქ სწერია ჩვენი თავგადასავალი. ჩვენი ვაჭირება, ჩვენი დაღბინება. გადაიკითხე, ნახე, თუ ვერ გაიგო რამე, დაგეხმარები, მე ამოგიკითხავ ჩვენს ბატიფურს. რა ვქნათ, მობოლიშვითი ილიმება მოშე, საწერად ხელი არ გვემარჯვებოდა, აზრის გამოთქმა ვეჭირდა, ვწერდით ისე, როგორც ვიცოდით, მაგრამ ვწერდით სიმართლით და გულწრფელად.

მოწიწებით გადავშალე ეს ოქმის წიგნი.

გულმოდგინეთ და მუყაითად ჩავიკითხე თვითეული ფურცელი, თვითეული ოქმი, შენიშვნა, მინაწერი.

საოცარი იყო ეს წიგნი.

ქვემარტად არა ნაკლებ საოცარი ყველა იმ წიგნებს შორის, რომელიც წამიკითხავს ყრმობის ყამიდან მოკიდებოლი დღემდე.

ეს იყო ახალი „წიგნი გამოსვლათა“: ვაჭირებისა და უსამართლობის ქვეყნიდან — თავისუფლების,

ბედნიერების და კეთილდღეობის
სოციალისტურ ქვეყნისაკენ.


დიდხანს ვკითხულობდი ამ ჩვენი
ეპოქისათვის ნიშნულსა და სახა-
სიათო ახალ 1001 ლამეს.

ვფიქრობდი: გაივლის ათეული
წლები, მთელი საუკუნე და ვინ
იცის იქნებ შემთხვევით გადარჩე-
ნილ ამ ყვეთელ ფურცლებს ჩაუჯ-
ღეს ვინმე უამთააღმწერელი.

და გაოცებით ის შეადარებს ამ
ჩვენი სოფლის გულუბრყვილო, მა-
გრამ ცხოვრების სიბრძნით დამძიმე-
ბულ დღიურს. იმ ყვეთელ პერგამენ-
ტებთან, რომელიც ეხლა მუზეუმებ-
ში ინახება და რომელიც უწერიათ
საშუალო საუკუნეთა განდევნილ მე-
მაჰიანებს.

რა შედარებაა! იქ, მონასტრის
მყუდროებაში, ქორონიკონებით ინი-
შნებოდა მხოლოდ მეფეთა ბრწყინ-
ვალე ზეიმი, ნადირობა და ლაშქ-
რობა, ფეოდალთა შუღლი, მტრის
ურდოების შემოსევა, უამიანობის
მუსრი. დაბეჩალებულ ათასების მო-
ნურ უღელქვეშ აღმომხდარი კენესა
და ვაება ვერ აღწევდა სქელ ვალა-
ნის გადღმა, ცხოვრებისაგან ფან-
შორებულ სენაკებში. და თუ რო-
დესმე მიაღწევდა ეს კენესა და ქვი-
თინი, არა ერთხელ შეცვლილი გა-
ბოროტებულ მრისხანებად მტარვა-
ლების წინააღმდეგ. — ეს ხომ ღირ-
სი არ იყო მატიახის ფურცლებზე
სამარადჟამოდ აღბეჭდვისა!

არა, ამ მყუდრო და მიუვალ სე-
ნაკებში ჩასაფრებულ ობობებისათ-
ვის ხალხის კენესა ხომ უმნიშვნელო



ბუხის ბნული იყო, ამა რა საგუ-
ლისხმო და საცნობარი შთამომავ-
ლობისათვის!

ეს ოქმის წიგნი კი... ეს ხომ მფე-
თქავი მაჯისცემსა, ცოცხალი, ყო-
ველდღიური, მშფოთავი ცხოვრების,
რომელსაც აკეთებენ ასეული, ათა-
სები და მილიონები.

ცხოვრების, რომელიც დღეს არ
არის ის, რაც გუშინ იყო, ხვალ არ
იქნება ის, რაც დღეს არის. ეს ცხო-
ვრება კეთდება ყოველ წუთს, ყო-
ველ საათში, ყოველ ნაბიჯის გადა-
დგმაზე. ის მიდის წინ, იცვლება და
თანდათანობით უახლოვდება იდე-
ალს, რომელიც მიზნად დაუსახავს

ჩვენი პლანეტის მეექვსედზე ერთი
აზრით დამსჭვალულ, ერთი ოცნებით
აღფრთოვანებულ მშრომელთა მე-
ბრძოლ მილიონებს.

და ის, — უცნობი, შორეული ამ-
ხანაგი, წვერი კომუნისტური საზო-
გადოებისა, მეცნიერი მიუღდომელი
და გულხმიერი, ალბათ შესაფერად
დააფასებს ამ ქალაქის ნაფლე-
თებს: ესენი უბრალოდ უამბობენ
მას, როგორი თავგამეტებით იბრძო-
და კომუნისტებისათვის ებრაელთა
ორმოცდაათი კომლი ალაზნის ვე-
ლის მივარდნილ კუნჭულში.

...კრებას, რომელიც შესდგა 1930
წლის 14 იანვარს და რომლითაც
დავიწყე ეს თავი, თითქმის მთელი
კოლექტივი დაესწრო.

სამი საკითხი იღვა კრებაზე. სამი
რამ აწუხებდა წითელგორელ კოლ-
მეურნებს.

მე ეხლა ვიღებ ოქმს და ვკითხუ-
ლობ ისე, როგორც ჩასწერა მოშე
ხაიმმა.


მათ მოისმინეს:

„1. გავაუმჯობესოთ მუშაობა მი-
წის ხენა და ეგრეთვე თესვა არ და-
ვრჩეთ როგორც წასულ წელში“.

მათ დაადგინეს:

„1. შეუდგეთ სამეურნეო მუშაო-
ბის დავიყოთ (ალბათ „დავიყოთ“)
ხენა-თესვა გავასუფთავოთ გაზაფხუ-
ლის დასათესი ადგილები რომ არ
დავრჩეთ როგორც წასულ წელში“.

მარ თლაც საშინელი იყო ეს წარ-
სული, სამახსოვრო 1929 წელი, სა-
შინელი წელი მოუხსაგლობის, გაჭი-
რების და ცარიელი ბეღლების. პა-
რტია, ხელისუფლება, საქართველოს
მშენი დროზე დაეხმარენ ნორჩ
კოლმეურნეობას, დააძღეს ბავშვები,
გაამხნევეს ჯერ კიდევ გამოუცდუ-
ლი, ახალი მიწის მუშაკები, თორემ



ტყვარჩელის მაღარო ბი გადაღის მახსოვრებაში

ტყვარჩელში — აკაცასის მომავა
ხმირის მარაგით 1-ლ აპრილს გადაღის
სუფრათზე: ტყვარჩელში შემკრები
ზნაღ.

ვალი ცეცხლფარში 109 მილ. ტონა ქვანა-
ქსალოატაციაში.

პუნქტი — სოფ. კვეზანის ჩრდილოეთი

ფოტო: ბონობარენკოსი.

ნაკვეთ ცუდად დატრიალებოდა.
— „რომ არ დადარჩეთ როგორც წასულ წელში“. ო, ეს იყო მრისხანე გაფრთხილება, რომელიც იმ ხანებში ყოველ კოლმეურნე ებრაელს ახსოვდა იბეჯითად: დღისით და ღამით, მინ და გარეთ.
ისინი შეუდგენ მაშინ ბრძოლას და იბრძოლეს კიდევ. გამწარებით იბრძოლეს. სამაგიეროდ ნაყოფიც კარგი მოიშვეს: დამდეგ შემოდგომაზე ისინი უკვე აღარ დაჩინილან „როგორც წასულ წელში“...
შენდეგი კითხვა არა ნაკლებ საგულისხმო იყო კოლმეურნეებისათვის.

მეორე საკითხად მათ მოისმინეს: (მე ისევ მოშე-ხაიმის ოქმის კითხვას განვაგრძობ):
„მივმართოთ თავრობას ჩვენ გაჭირვება რომ არ ვიმყოფებოდეთ შიში როგორც არიან ბანდიტები“.
დაადგინეს:
„— აბრამ ჯინჯინაშვილი უნდა გავგზავნოთ რომ იმან მიმართოს მთავრობას ჩვენი გაჭირვება რომ ვიმყოფებით ძალიან აუტანელ შიში ყაჩაღობის მიერ“...

იყო ასეთი დროც. ნაძირალები ნაფარდობდნენ ალაზნის ველზე. ისინი ესმებოდნენ თავს სოციალიზმის პატარა ფორმასტებს — ჯერ კიდევ ჩორჩი კოლექტივებს. სძარცვავდნენ ართმევედნენ სარჩოს.

იყო ისეთი დროც. და მან უკვე განვლო. რევოლუციური წესრიგის მაგარმა მუშებმა მიწაზე გასრისა კლასობრივი მტრის ნაშიერი. შემდეგ ის მუშები მამობრივ, მზრუნველ ხელად გაიშალა და სათუთად გადაესვა თავზე აფორიაქებულ კოლექტივს... ამ ძლიერი და მასთან ნაზი ხელით დამშვიდებულმა კოლმეურნეობამ გული საგულეში ჩაიდო და კვლავ განაგრძო თავისი შრომა...

ბანდიტები აღარ აწუხებენ კოლექტივს. მაგრამ ეხლა მათ აწუხებთ სხვა უფრო სახარელი მტერი. ყვითელი, შეუბრალებელი, მძინვარე მტერი, — ზაფხულისა და აღრიან შემოდგომის საშინელი სტუმარი.

ეს არის მალარია.
ზაფხულის გახურებულ მუშაობის დროს მოვა ის, წყეული პირყვითელა, თავისი ყინულოვანი ციებით და ტროპიკული ცხელებით.

მოვა და დააფენს ძირს მთელ მუშა-ხელს, უჯანსაღეს და შრომის უნარიან ვაჟკაცებს.

ის არ ინდობს არც ქალებს, არც მოხუცებს.

არ იბრალებს ბავშვებსაც.
ლაგოდენის რაიონი განთქმულია თავისი მალარიით. წითელ გორის

კოლექტივი კარგათ იცნობს ამ საშინელ სენს.

1933 წლის შემოდგომა არ დაავიწყდება კოლექტივს.

მაშინ, თამბაქოს კრეფის დროს, 75 პროცენტით მუშა-ხელისა მალარიით იყო ავად...

კოლექტივი ებრძვის ციებას როგორც შეუძლია.

ის აშრობს ჭაობებს, ყლაპავს ქინაქინას. მაგრამ ქინაქინი საქმეს კარგათ ვერ შევლის: კოლექტივი ამ ქინაქინის დამძალი წყლით სვამს.

წითელგორის კოლექტივის სუფთა სასმელი წყალი არა აქვს.

ეზოებში პატარა ორმოებია მოთხრილი. მისი სიღრმე მეტრნახევარი თუ იქნება.

ამ ორმოს იქ ჭას ეძახიან.

მას სარკველი არა აქვს. არც ამოშენებულია რითიმე. უბრალო, ჩვეულებრივი ორმოა.

ორმოში თბილი, მღვრიე, ჭაობის წყალია დაგუბებული.

ამ წყალს პირდაპირ სვამენ. გადაღულებული წყლის კულტურას წითელგორაში არ იცნობენ.

წითელგორელ კოლმეურნეებს, — ორმოცდაათხ კომლს, — ორმოცდაორეა მიწველი ძროხა მოეპოვება.

ეს ძროხები ჭკვიანურად იქცევიან: ისინი სვამენ სუფთა წყაროს წყალს.

ეს წყარო სოფლიდან ორი კილომეტრის მოშორებით მოიუხჩულებს.

კოლექტივის არა აქვს მიღები რომ სოფელში წყალი გამოიყვანოს.

სულ კი საჭიროა ათასი ცალი თიხის მილი.

შეზობლად კოლმეურნე იმერლები ცხოვრობენ. წყარო არც იმათ ემხრობათ.

ახლა ებრაელებს და იმერლებს გადაწყვეტილი აქვთ, საერთო ძალიანით გამოიყვანონ წყალი.

გაისათ ორივე კოლექტივს ექნება წყალსადენი.

ბევრი რამ არა აქვს ებრაელთა კოლმეურნეობას, ბევრი რამ აქვლია, მაგრამ ყველაფრის გაკეთება შეუძლებელი იყო რაღაც ხუთიოდე წლის განმავლობაში.

მათ მოსვლამდე აქ ხომ უღრანი ტყეები იყო. ისინი მოვიდნენ და გასწმინდეს ეს ტყე. გაასუფთავეს მიწები. გააშენეს სახლები, ეზოები, ბოსტნები.

აავსეს ხუთთვალისანი სახლი კანტორისა, კოოპერატივისა და საწყობისათვის.

ააშენეს თავლა, თამბაქოს ფარდული, სასიმიდღე, სამკედლო.

ეხლა მშენის დახმარებით აშენებენ წისქვილს, ხე-ტყის სახერხს, ელექტრო-სადგურს.

ყველგერი ექნებათ, ყველაფერს გაიკეთებენ ნელნელა, რაც აქამდის ვერ მოასწრეს, აწი გააკეთებენ,

ისინი ახყვავებენ ამ არე-მარეს აღარ ექნებათ აწწლით და ექვლით გადავლილი შუტები, ბინძური ეზოები, აღარ ეყოლებათ ქუტყიანი და გამურული ბავშვები.

წელს მათ დიდი მოსავალი მოუვლიათ, ამ მოსავალმა აუნაზღაურა მათ გასული წლების, გვალვიანი, შოუსავლიანი წლების დანაკლისი, მწუხარება, გაჭირვება.

ეხლა ისინი შეძლებული ცხოვრების კარებში შესულან.

ეხლა მათ შეუძლიათ თავის თავსაც მიხედონ: იზრუნონ შკოლაზე, სისუფთავეზე, კულტურულ, გონიერ, ადამიანურ ცხოვრების მოწყობაზე.

და ისინი აწყობენ ამ ცხოვრებას გულშოდგინედ და თავგამოდებით. მოაწყობენ კიდევ, — უსათუოდ, ყოველ ექვს გარეშე მოაწყობენ ამ ცხოვრებას.

ეს იქნება საუცხოვო, ლამაზი ბედნიერი ცხოვრება.

იმ დილას, სექტემბრის თბილ, უღრუბლო დილას, კოოპერატივის წინ გამოვეთხოვეთ მოშე-ხაიმს, მოხუც დანიელს, ფელახ ნანიკაშვილს, მოსე კრიხელს, ისრო მამისთვალაშვილს, — კოლექტივის მთელ აქტივს, რომელიც მოსუელიყო სტუმრების გასაციოებლად.

ეტლი დაიძრა. ბავშვები ყიჟინით მოგვსდევდნენ უკან. ხელში მალატარისან დროშებით ეჭირათ მზისუმზირას გრძელი, ყვითელი ღეროები. ამ ღეროებზე კაკლებით დატყუპული თავები ეკიდა. ეს თავებიც თითქოს გვეთხოვებოდნენ თავისი ყვითელ ჩარჩოში ჩასმული შავი თავების ქნევით.

ყველაზე წინ სატანა მორბოდა. პირდაუბანელი, სახემოთუნული, თმაბურძენული. ის მაინც შემოგვიჯდა ეტლის უკან და გამოგვაცილა.

ბოგირთან ჩამოხტა, თავისი მზისუმზირა შუბივით მალლა აშართა და დიდხანს მოგვძახოდა წკრიალა, ზარინანი ხმით:

— მშვიდობით, მშვიდობით!

ეხლაც თვალწინ მეხატება ამ ბიჭიკოს სახე. და მე მინდა ჩემი უკანასკნელი სიტყვით მას მივმართო.

— ეფრაიმ, ჩემო კარგო ძამიკო! ორ რამეს გთხოვ, შემისრულე, თუ ხათრი გაქვს.

ერთი: შეეხვეწე დედაშენს, რომ ყოველ დილას დაგბანოს პირი.

მეორე, — დამახსოვრო რასაც ეხლა გეტყვი: როდესაც გაიზრდები და ისწავლი, შენ გაიგებ რას ნიშნავს სიტყვა „კაპიტალიზმი“. შემდეგ შენ გაიგონებ იმ ადამიანის სახელს, რომელმაც უწინამძღვრა მთელ ჩაგრულ კაცობრიობას, დაუ-

მავლისათვის ბრძოლა.

ეს ადამიანი იყო კარლ მარქსი. ის ამბობდა: „ებრაელები თავის დაზავრულ მდგომარეობას შხოლოდ მაშინ დააღწევენ თავს, როდესაც თვით საზოგადოება განთავისუფლდება კაპიტალიზმისაგან“.

ეფრაიმ! შენი წინაპრები ცხოვრობდნენ იმ დროს, როდესაც ჩვენს

პიტაგორაში.

ებრაელები ყველაზე დაზავრული ხალხი იყო კაპიტალისტურ წყობილებაში. დაზავრული, დევნილი, დამცირებული იყო შენი მამა, პაპა და პაპისპაპა.

შეგრამ მუშათა კლასმა დაამხო კაპიტალიზმი და მოსპო მისი ბატონობა. მუშათა კლასმა შენ ხალხსაც

მი გაათავისუფლა სხვეთათნ.

გახსოვდეს მარად ეს ამბავი ჩემო ეფრაიმ, კარგად ამოიკვირო გულში.

ესხა შშვიდობით!
...ერთი სათხოვარია ჩემთვის: შენ თითონ მიეჩვიე ყოველდღე პირის ბანას...
შე სატანა, შენა!..

„ნ ი ნ ო უ ვ ი ლ ი ს გ უ რ ი ა“

მარჯანიშვილის თეატრში

ვიმსა უ. დალიანის, დადგმა ლ. ანთაძის; მხატვარი ლ. კაკაბაძე

ეგნატე ნინოშვილი გლეხობის დამონებულ და გაყვლედილი ფენის წმენდას. მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მშრომელ გლეხობის აუტანელ, გაჭირვებულ მდგომარეობისა და წმენდას. ეგნატეს ყოველი ნაწარმოები დაწერილია დაძაბული კლასობრივი თვალსაზრისით. არ მოიპოვება შეითხველი, რომელშიც ეგნატეს ტიპები გარკვეულ კლასობრივ სიმპატიებისა და სიძულვილის არ იწვევდნენ. ამას მწერალმა მიაღწია იმ უდიდესი რეალისტური ალლოთი და რევოლუციონური მსოფლმხედველობით, რომელიც საშუალებას აძლევდა მას სწორად უაღრესად ტიპური ხასიათები ტიპურ გარემოში. ე. ნინოშვილის მიერ შექმნილი ტიპები—ერთი მხრივ კაცია მუნჯაძეები, გოგია უიშვილები, ძალაძეები დასხვ., მეორე მხრივ დავით დროიძეები, მონე შვერლები, ტარიელ ჭკალაძეები და სხვ.; იმ დროს ცოცხალი ადამიანები. ე. ნინოშვილის შემოქმედებაში მიცემულია მხატვრული ეპიკა-ლენტი იმ დროინდელი მღვდვარე გუიოის სოციალ-პოლიტიკური სინამდვილისა. ეს უხვი შემოქმედებითი მასალა დრამატურგმა უ. დალიანმა დაამუშავა დიდი მხატვრული კულტურით და ეგნატე ნინოშვილს გუიოის „გაცოცხლების“ საკითხი მეტად საინტერესოდ გადასჭრა.

„ნინოშვილის გუიოა“ დრამატურგისათვის უდიდესი იდეური და მხატვრული გამარჯვებაა.

შ. დალიანმა სწორად გაიგო ნინოშვილი, უდიდესი ოსტატობით შექცრა ერთ მთლიან ნაწარმოებად ნინოშვილის სხვადასხვა მოთხრობების მთავარი მომენტები და შექმნა საინტერესო დრამატული ნაწარმოები. დრამატურგის წინაშე მეტად დიდი საფრთხე იდგა—პიესას და შემდეგ სექტაკლს არ მიეღო უბრალო სქემისა და ნაწყვეტებისაგან შეკოწიწებულ ნაწარმოების სახე. ეს სიძნელე ოსტატურად იქნა დაძლეული. პიესა ვითარდება თანამიმდევრობით, როგორც ერთ მთლიან სიუჟეტზე აგებული. ამასთან ერთად ნინოშვილის გუიოის სწორად გაგებაში და კარგად შესრულებაში კიდევ უფრო გაზარდა სექტაკლის იდეურ მხატვრული ღირსება. „ნინოშვილის გუიოა“ ერთხელ კიდევ ნათელჰყო ძველ მსახიობთა მაღალი მხატვრული კულტურა. არტისტული შესაძლებლობა და ძალგაზრდა მსახიობთა არაჩვეულებრივად სწრაფი ზრდა.

ტზე აგებული. ამასთან ერთად ნინოშვილის გუიოის სწორად გაგებაში საშუალება მისცა დრამატურგს თავისი „ახალი“ სიტყვაც შეეტანა, ტიპების მოქმედებისათვის ერთგვარი პერსპექტივა მიეცა, ნაციონალური კოლორიტისათვის ხაზი გაესვა და ამასთან, კლასობრივი ბრძოლის მომენტი აუყვანა უაღრეს გამაძფრებამდე. ის მუქი ფეოები, რომელსაც იყენებდა ნინოშვილი თავისი დროის ტიპების დასახატავად საესებით დატულია, როგორც პიესაში, ისე სექტაკლში. შეიძლება ითქვას, რომ დრამატურგმა საესებით შესძლო ჩასწვდომოდა ნინოშვილის გუიოის სიღრმეს და სწორად გაეგო იგი. „ნინოშვილის გუიოა“ შალვა დალიანისათვის არის უდიდესი იდეოლოგიური გარდატეხა და მხატვრული გააარჯვება.

საჭიროა გულახდილად ითქვას, რომ ჩვენ არ მოველოდით აღნიშნულ პიესიდან ისეთ შედეგებს, როგორც მივიღეთ. დრამატურგისა და რეჟისორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თეატრმა შესძლო არა მარტო ნინოშვილის შემოქმედების მთავარი რგოლის გამოჭრა, არამედ მან შესძლო „სილი მანი“ და მეორე ხარისხოვანი ელემენტების განჭვრეტაც კლასობრივი ხედვით.

ძაყურებელი რატომღაც ძიელოდა რომ სექტაკლი იქნებოდა სემბატური და კინო-ქრონიკის მსგავსი. პიესის მრავალსურათიანობა მართებულად აყენებდა ამის საფრთხეს. მაგრამ, თეატრმა ეს საფრთხე მეტად ოსტატურად აიცილია; დრამატურგის მიერ „დამოუკიდებელი“ მოვლენებიდან შექმნილი ერთი მთლიანი სიუჟეტი კვანძი მან გახსნა დიალექტიურ თანამიმდევრობით, და ამ გზით შექმნა მხატვრობად შეკრული, იდეოლოგიურად გამართლებული და ემოციონალურად ძლიერი სექტაკლი.

კარგად არის დამუშავებული ცალკე სცენები და განსაკუთრებით საინტერესოა მხატვრობა, რომელიც თავისი უბრალოებით, მხატვრული სისადავით ოა იდეური სიმახვილით ზრდის სექტაკლის მხატვრულ იდეურ ღირებულებას ოა ამლიერებს ემოციული ზემოქმედებას მაყურებელში. საატვარა „ნინოშვილის გუიოაში“ გამოამუშა

გნა მაღალი მხატვრული გემოვნება, რაც მთავარია „ნინოშვილის გუიოა“ს მხატვრულ გაფორმებაში საქმე გვაქვს მარჯანიშვილის ერთგვარ სტილიზაციასთან. ეს ღირსება იგონობა ცალკე მიზანსკენების დამუშავებაში და პიესაშიც. თუ გახახლებულ „ოტელიო“ს უსახილოობდით, ოომ თანდამდგმელობა და მხატვრობა საესებით აუარეს გვერდი მარჯანიშვილის დეკორატიულ ინტერპრეტაციას, „ნინოშვილის გუიოა“ში წინააღმდეგ მოვლენასთან გვაქვს საქმე. როგორც მხატვარს, ისე რეჟისორს უშედეგოდ არ უცდიათ, რომ მიასკენების დათუშავების და დეკორატიული გაფორმებისათვის საფუძვლიანი დაულოთ მარჯანიშვილის შემკვიდრეობის დაულებითი მხარეები.

სექტაკლის მხატვრული ღირსება კიდევ იმაში მღვდამოიოებს, რომ აქ საქმე გვაქვს მსახიობების თავშემის მთლიან მუსიკალურ შესაბამესთან. მსახიობთა კოლექტივი არც ერთ სექტაკლში არ ყოფილა ისე მთლიანი და შეკრული, როგორც „ნინოშვილის გუიოა“ში, მსახიობების მიერ ტიპების სწორად გაგებაში და კარგად შესრულებაში კიდევ უფრო გაზარდა სექტაკლის იდეურ მხატვრული ღირსება. „ნინოშვილის გუიოაში“ ერთხელ კიდევ ნათელჰყო ძველ მსახიობთა მაღალი მხატვრული კულტურა. არტისტული შესაძლებლობა და ძალგაზრდა მსახიობთა არაჩვეულებრივად სწრაფი ზრდა.

თავიანთი გულწრფელობით, როლები თავისუფალი შესრულებით და დეტალების ღრმა მოფიქრებით გამოიჩინეს ვ. ანჯაფაროძე; ც. წულუწანავა; შ. დაბაშიძე; ფ. გოძიაშვილი; თ. ჭავჭავაძე; ც. თაყაიშვილი; კ. კობახიძე, კვანტალიანი და სხვ. ღამბაშიძემ გოძიაშვილმა და კობახიძემ დაამტკიცეს, რომ ისინი არიან მრავალფეროვანი მსახიობები. კვანტალიანის ოა სხვ. ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობთა თავშემაერთხელ კიდევ ნათელჰყო კოლექტივის დიდი პერსპექტივა.

საერთოდ „ნინოშვილის გუიოა“ სეზონის საუკეთესო სექტაკლად უნდა ჩაითვალოს. მ. ანტონაძე-ბრძოლი.



1858 წლის დასასრულს ტფილისის ცხოვრებაში დიდ ამბად უნდა ჩაითვალოს აქ ჩამოსვლა ცნობილ ფრანგ მწერლის ალექსანდრე (მაზა) დიუმასს.

ალ. დიუმამ, სანამ ტფილისში ჩამოვიდოდა, წინასწარ ინახულა პეტერბურგი და მოსკოვი. მისი თანამგზავრები იყვნენ: ფრანგი მხატვარი მონი და თარგმანი ალ. კალინო—მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი. დიუმას გზა ედო აშტარხნიდან ყიზლიარზე, ხასავე-ურტზე, დერბენტზე, ბაქოსა, შამხორსა, ნუხაზე და აქედან ტფილისში. თან ჰქონდა ღია ფურცლი (დაუბრკოლებლი მგზავრობისათვის) კავკასიის მიწის ნაცვლის ბარიატინსკისაგან მიცემული.

დერბენტში ფრანგ მწერლას საინტერესოდ დაურჩა ბედი პოეტის ა. ჰესტუჟე-მაზარინისკისა და ინახულა მისი ცხოვრების მეგობრის ა. ლერმონტოვის საფლავი, დასწერა ოთხ ბეჭდარიანი ლექსი და სთხოვა მის საფლავის ქვაზე ამოეჭრა.

შემახაში (მაშინ საგუბერნიო ქალაქში) დიუმამ ორს დღეს დარჩა. ქალაქის მცხოვრებნი მეტად სტუმართმოყვარულად დახვდნენ (მისი აქ ყოფნას დაწვრილებით აღწერს ი. ევლანოვი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ში 1887 წ. № 1060).


ტფილისში დიუმამ ჩამოვიდა 1858 წლის ნოემბრის 23 (გაზ. „კავკაზ“ № 92).

დიუმამ ერთს თვეზე მეტი დაჰყო ტფილისში, მაგრამ ადგილობრივმა პრესამ მეტად მოკლეთ აუწყა თავის მკითხველებს მისი აქ ყოფნის ამბავი. გაზეთ „კავკაზმა“ მხოლოდ აღნიშნა დიუმას ნუხაში ყოფნის ამბავი და მისი ტფილისში ჩამოსვლის დრო; ჟურნალმა „კოსკარმა“ აღნიშნა დიუმის მიერ მისის რედაქციისა და სტამბის დათვალიერება (იხ. „კოსკარი“ 1858 წ. № 18).

ეს ცნობები შეიძლება შემდეგის ცნობებით შევადგინოთ.

დიუმამ ტფილისში ჩამოხტა ი. ე. ზუბალაშვილის სახლში, თავისუფლების მოედანზე. იყო ესოდენ ქებულ გოგირდის აბანოებში, ინახულა სააბერო თეატრი, რომლის შესახებ სტეჟა: „ეს თეატრი თუ საუკეთესო არა, ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოში ერთი საუკეთესო თეატრთა განიაო“. აი პირველი შთაბეჭდილებანი დიუმასი ტფილისის შესახებ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიუმამ საშინლათ გააკვირვა ქალაქის მოუწყობლობამ. დიუმამ შემდეგ დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ გაითენეს ახალი წელიწადი მეფის ნაცვალ ბარიატინსკთან, აღწერს წყალკურ-



თხევას იანვრის ნა-ს, მაგრამ განსაკუთრებით ვრცლად აგვიწერს დიუმამ, თუ რა სადილი გაუმართა მის პატანვსაცემლად „ცისკრის“ რედაქტორმა.

ივანე კერესელიძე, როცა გ. ერისთავმა „ცისკრის“ რედაქტორობას თავი დაანება, დამოუკიდებლად უძღვებოდა ჟურნალს 1857—75 წლამდე, როგორც რედაქტორი. „ცისკარი“ მაშინ ერთადერთი ქართული ჟურნალი იყო. რედაქცია იმყოფებოდა საკუთარ სახლში ალექსანდრეს ქუჩაზე, იქვე ჰქონდა სტამბაცა (აკაკი, „კვალი“ 1893, № 2).

ივ. კერესელიძე თავის ჟურნალს დეკემბრის ნომერში აღნიშნავს დიუმას მოსვლას სტამბაში და მის მიერ გაშინჯვას ყოველის ნივთისას, რაც რედაქციას ეკუთვნოდა. ალბათ სწორედ მაშინ გაუმართეს სადილი, და ამ სადილს და სადილზე ნახულს ჩვეულებებს, აგვიწერს დიუმამ.

დიუმამ ტფილისში დარჩა იანვრის 11-მდე (ძვ. სტილით) და აქედან ფოთში წავიდა, რომ იქიდან სამშობლოსაკენ განეგრძო გზა. კავკასიაში მის ყოფნას მოჰყვა გამოქვეყნება მ-

სი წიგნისა: „კავკასიის მშენებელი“ მოკიდებული „შაბლაძე“; ეს წიგნი შემდეგში რამდენჯერმე გამოიცა ასეთის სათაურით: „მგზავრის შთაბეჭდილებანი. კავკასია“.


დიუმამ დიდი ინტერესი გამოიჩინა რუსული ლიტერატურის მართ. რუსის მწერლები განსაკუთრებით მოსწონდა ლერმონტოვი. ჯერ ისევ თავის მგზავრობამდე სთარგმნა დიუმამ ფრანგულად ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“. რუსეთში რომ მივიდა, დიუმას შემთხვევა ჰქონდა დარწმუნებულყოფით, თუ რამდენად პოპულარული იყო ლერმონტოვის ლექსები, რომელთა უმეტესი ნაწილი მუსიკაზე იყო გადაღებული. განსაკუთრებით მის ყურადღებას იპყრობდა ლექსი „მთათა მწვერვალნი“. ეს ლექსი; მისის აზრით, ლერმონტოვს უნდა დაეწერნა გოეტეს ან ჰაინეს მიბაძვით (დიუმამ ამას სწორედ აღნიშნავს. ლექსი „მთათა მწვერვალნი“ ლერმონტოვს გოეტესაგან აქვს ნასესხები).

გზაში (ქ. ყიზლიარში) დიუმას შემთხვევა ჰქონდა მოესმინა სიმღერა „რამდენიმე საუცხოვო რუსულ რომანსებისა“ და მათ შორის, ლერმონტოვის „მთათა მწვერვალნი“. ის შემდეგ ტფილისისაკენ რომ მოვიდა (ქ. შემახაში), როგორც ამას აღნიშნავს ადგილობრივი კორესპონდენტი ი. ევლანოვი, დიუმამ მხიარულად გატარებულ საღამოს შემდეგ, რომელიც იქაურმა კომუნდანტმა გაუმართა, მოითხოვა ქალაქი და მსურველთათვის სახსოვრად ჩასწერა რამდენიმე ლექსი ლერმონტოვისა, მის მიერ ფრანგულათ თარგმნილი.

მადლობის ნიშნად დიუმამ სტუმართმოყვარე სახლის პატრონს ი. ზუბალაშვილს, რომელმაც თავის საუცხოვო სახლში მშვენიერად მოწყობილი ბინა დაუთმო, თავისი ავტოგრაფი უძღვნა.

შემდეგში ეს დოკუმენტი ი. ზუბალაშვილისაგან მ. ი. თამაშვეიზე გადავიდა. თამაშვეი ტფილისის საზოგადო მოღვაწე და ბიბლიომანი იყო.

შემდეგში თამაშვეისაგან ეს ავტოგრაფი და მისი მთელი შესანიშნავი ბიბლიოთეკა ტფილისის თვითმართველობამ მიიღო. აქედან კი გადავიდა მწერალთა მთაწმინდის მუზეუმის საკუთრებად.



ტავარიკელფანი

სურათზე: სოფ. კვეზანი, სადაც გაშენებულია ინჟ.-ტექ. მუშაკების სახლები, მშენებლობის კონტორი, პარტკომი, და კოოპერატივი.


ფოტო: პონომარენკოსი.



ავამაღლოთ სისტემების მოქარაბა

საკ. კ. პ. (ბ) წევრები მზეთაეები ამ. დავითაშვილი და მამულაიშვილი ბენზინის საექსპორტო შემადგენლობას № 2070 დანერგვის დროს.

ფოტო: ზუღერაძის.



ამ. გიორგიანის სახელობის ნავთის სარეაბილიტაციო ბაზარი


სურათზე: არაერთხელ დაჯილდოებული მბურღლავი ხელოსანი შირ. მურადოვი, რომელიც ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს მოცემულ გეგმებს.

ფოტო: კუშნეროვის.

ბოლშევიკურ თხვავს სალი თხვლი

თხვვისათვის სალი თხვლის შერჩევა კოლმეურნეობა „კომუნისმის განთიადში“.

ფოტო: ჯეირანოვის.



ლოკ-ბატანი იანვარ მსოფლიოში უდიდესი ნავთის სარეაბილიტაციის

ნავთის აუზი ლოკ-ბატანში.

ფოტო: გლანკოვის.



ტფილის უფროსი მსოფლიოში მსოფლიოში


საქართველოსა და ა-კავკასიის რედაქტორის ტფილის უფროსი მსოფლიოში მსოფლიოში კეთილმოწყობილი მოედანი. ამ მოზნით თა ვისუფლებს მოედანზე აღებული იქნება „ქარვასლა“. ამ უდიდესი შერობის დასანგრევად გადადებულია 1.200.000 მან.

სურათზე: თამაშების ყოფილი სახლი — „ქარვასლა“ თავისუფლების მოედანზე, რომელიც აღებული იქნება 15 ივნისამდე.


მატარებელი მომავალში

სურათზე: ამერიკელი მატარებლის მიერ შესრულებული სურათი, რომელიც გამოხატავს ამჟამად ექსპლოატაშიაში არსებულ სამ უსწრაფეს მატარებელს. მარჯვნივ — ორგანოანი მატარებელი ტენასის შტატიდან (ჩ.ა.შ.შ.). შუაში ახალი ვაგონი — ჩილინისა და სლოუს შორის (დასავლეთ ინგლისი). პირველ პლანზე — ყველაზე უსწრაფესი მატარებელი მსოფლიოში „ზეფირ—ექსპრისი“. შტატ აოიოში (ჩ.ა.შ.შ.). ეს მატარებელი წუთში ანგითარებს სამ კილომეტრს ხისწრაფეს.

ფოტო: სოიაზფოტო.



ეროვნული ინჟინირება



ქალის გაფრენის ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი

ჩ.ა.შ. შტატებში მფრინავემა ქალებმა ფრანსის მარსელისმა და ელენ ჩიჩიმ დიმყარეს განუწყვეტელი გაფრენა მიაშვეფლი (ორიდა). გაფრენა გრძელდებოდა 9 დღე და ლამეს და 42 წუთს, რაც წარმოადგენს მფრინავე ქალებისათვის სარეკორდო მოფლინას.

სურათზე: თვითმფრინავი ჰაერში დებულობს მეორე თვითმფრინავისაგან სათბობ მასალას საამისოდ გადმოგდებულ მენ ზიზინს მილის საშუალებით.

გამით მოძრაობა ს.ს.რ.კ. და ჩ.ა.შ. შტატებს შორის

იანკრუდან ს.ს.რ.კ. და ჩ.ა.შ. შტატების ნავთსადგუოებს შორის დამყარებულია ნორ შალური სანაოსნო მიმოსვლა ოდესის ნავთსადგურში ყოველ თვე შემოვა უდიდესი ამერიკული გემები. ამავე დროს ს.ს.რ.კ. ნავთსადგურებიდან გაიხსნება გემთა მიმოსვლა ჩ.ა.შ. შტატების ნავთსადგურებში. ოდესაში შემოვიდა პირველი ამერიკული გემი „ექსელსიორ“, რომელმაც შემოიტანა დიდძალი ავტომანქანები და აგრეატების მთელი რიგი სხვადასხვა ნაწილები.

სურათზე: გემი „ექსელსიორ“ ოდესის ნავთსადგურში განტვირთვის წინ.

ფოტო: კრინცკის.

